

ფელიწადი
პირველი

მოამბე

შაბათი, ნოემ. 19.

1921 წ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

№ 20

ეოველ კვირეული ორგანო.

№ 20

რედაქციის მისამართი:

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელის ქ. № 1.
(ეოფ — კაღეტო კარხუის შესახ) ტელეფონი № 6 90.

ელბჭია ღია: ეოველ დღე დიდის 9 ს. — 2 საათამდე.

რედაქტორის ნახვად შეიძლება 12 ს. — 2 საათამდე.

ოფიციალური განყოფილება

დებრუნი № 78.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

რა წესით დამთავრდეს და რა წესით მოიხსოს
სს საქმეები, რაც, — საქართველოში საბჭოთა
იელისუფლების დამყარებამდე, — იყო ან გუჯ.
მე ულ სასამართლო დაწესებულებათა წარ-
მოებაში.

საქართველოში ოლქის სასამართლოს, მომზ-
გებელ სასამართლო დაწესებულებათა, სენატისა,
სასამართლო პალატისა და სხვა დაწესებულებათა
გაუქმების შესახებ ამა 1921 წ. მარტის 22 და
ივლისის 26 თარიღით და 6 და 58 №-ებით გამო-
ცემული დეკრეტის დასამატებლად და შესავსებად, —
საქართველოს რევოლუციონური კომიტეტი აღ-
გენს:

1. გაუქმებულ სასამართლო დაწესებულებათა
წარმოებაში ყოფილი ყოველი სამოქალაქო და
სისხლის სამართლის საქმე, რომელიც აღძრულია
კერძო ბრალდების წესით და რომლის დამთვრე-
ბაც შესაძლებელია მხარეთა მორიგებით, უძრავად
დარჩეს იმ დრომდე, ვიდრე საქმის მონაწილენი
ან მათი უფლების მემკვიდრენი თხოვნას არ შეი-
ტანენ ამ საქმის განახლების შესახებ.

2. თხოვნები ესე შეტანილ უნდა იქნეს: იმ
საქმეების გამო, რომელიც წარმოებაში იყო გაუქ-

მებულ საქართველოს სენატისა, ტფილისის სასა-
მართლო პალატისა, ტფილისის ოლქის სასამართ-
ლოსა და ქალქ ტფილისისა და ტფილისის მაზრის
მომზიგებელ მოსამართლეთა ყოილობებში, — იუს-
ტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს
მომწყობ განყოფილებაში; იმ საქმეების გათვ
რომელიც რესპუბლიკის დანარჩენ ადგილების
მომზიგებელ მოსამართლეთა, მომზრგებელი მოსა-
მართოების ყრილობათა და ოლქის სასამართ-
ლოების წარმოებაში იყო, — იუსტიციის ადგილო-
ბრივ განყოფილებებში.

3. იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასა-
მართლოს მომწყობი განყოფილება და იუსტიციის
ადგილობრივი განყოფილებანი პირველ მუხლში
აღნიშნულ თხოვნებს, მიღებისთანავე, დედან-
საქმესთან ერთად, გაუგზავნიან სახალხო სასამართ-
ლოს ან სახალხო მოსამართლეთა საბჭოს — ეუთვ-
ნილებისამებრ, თანახმად ამ ქაპად მოქმედი წესე-
ბისა ადგილობრივ ქვედებარეობის შესახებ.

4. აღნიშნული თხოვნების შეტანა შეიძლება
ერთი წლის განავლობაში ამა დეკრეტის გაოქვე-
ყნების დღიდან. სასამართლოს მომწყობ განყოფი-
ლებას და იუსტიციის ადგილობრივ განყოფილე-
ბათ უფლება აქვთ პატივსადებ შემთხვევაში თხოვნა
საქმის გადაწყვეტის შესახებ მიიღონ ამ ვადის
გათავების შემდეგაც.

5. ამა დეკრეტის მე-4 მუხლში აღნიშნულ
ვადის გაცდენა გამოიწვევს სამოქალაქო საქმისა

დადგენილება № 91

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

მთავრობის აქტების ძალაში შესვლის წესის შესახებ.

1. მთავრობის აქტები, როგორც მაგალითად დიკრეტი, დადგენილება, ბრძანება, განკარგულება და სხვ., საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ გამოცემული, აგრეთვე სათანადო აქტები, — ცალკე კომისარიატის მიერ გამოცემული, — ძალაში შესულად ჩაითვლება დღიდან მათი „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბე“-ში გამოქვეყნებისა, ხოლო აღვილობრივად დღიდან მიღებისა „შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოამბის“ იმ №-ისა, სადაც დაბეჭდილია შესვენებული აქტი, — გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ძალაში შესვლის დრო თვით აქტშია აღნიშნული.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ხ. ქავთარაძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 9.

თფილისი — სასახლე.

დადგენილება № 92

საქ. სოც. საბ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტისა

ადმინისტრაციის შესახებ.

დღევანდელ სასიხარულო დღეს, როდესაც სოციალისტური საბჭოთა საქართველო პირვლად დღესასწაულობს დიდი პროლეტარული რევოლუციის ოთხი წლის თავს, საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი შესაძლებლად სთვლის შეუმსუბუქოს ხვედრი ყველა იმათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს სასჯელი სახალხო სასამართლოთა, რევოლუციონურ ტრიბუნალთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ, ან ვინც გამოძიებაშია მიცემული საბჭოთა რესპუბლიკის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩაუდენიათ ამა 1921 წ. თებერვლის 25-დღე და ვისთვისაც თავისუფლების აღკვეთა არ არის უკიდურესი საჭიროებით გამოწვეული.

ამის გამო საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან ყველა ის, ვისაც დანაშაული ამა დადგენილების გამოცემის დღედ იქნენ აღნიშნული, იმისდა მიუხედავად, თუ წარმოების რომელ სტადიაშია საქმე და სასამართლოს ან ადმინისტრაციულ რომელ დაწესებულების წარმოებაშია იგი, ხოლო იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია ქვემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

შენიშვნა: მოქმედება ამა მუხლისა გავრცელებულ იქნეს ადმინისტრაციულ სასჯელზედაც, აგრეთვე ადმინისტრაციულის წესით მილიციის მოხელეთა, სახალხო კომისართა და ხელისუფლების სხვა ორგანოთა მიერ დაპატიმრებულებზე.

2. უპატიმრობის ხარისხის სასჯელის განაჩენი, — რა დაწესებულებასაც უნდა გამოეტანოს იგი, — გადასინჯულ უნდა იქნეს ერთი კვირის განმავლობაში სასჯელის შემსუბუქების შესაძლებლობის მიზნით.

3. იმ პირთ, რომელთაც ამა დადგენილების გამოცემის დღემდე სასამართლოს და სხვა დაწესებულებათა განაჩენით გადაწყვეტილი აქვთ თავისუფლების უფადოდ აღკვეთა — ყაჩაღობისათვის, გაძარცვისათვის, გაუპატიურებისათვის, სხვისი სიცოცხლის მისპობის მცდელობისათვის, — უკეთესეს ჩადენილია არა სიყაფისა და გაბრაზების მდგომარეობაში, — (ვიცხლის წაყიდვისათვის, ყალბი ფულის მოჭრისა და საბუთის ქაღალდის სიყალბისათვის, დეზერტირობისათვის და საანგარო ხასიათის თანამდებობით დანაშაულისათვის, აგრეთვე დანაშაულის განმამეორებელთ (რეციდივისტებს), — შემოდ აღნიშნული სასჯელი შეეცვალოს თავისუფლების აღკვეთად ხუთის წლის ვადით და ამასთანავე განუწყვეტდეს მათ მკაცრი იზოლაცია. იმ პირთ კი, ვისაც ი ავე დანაშაულისათვის გადაწყვეტილი აქვს სხვადასხვაგვარი აღკვეთა თავისუფლებისა ვადით, ან იძულებითი მუშაობა — ვადა დამწყვედვას ან იძულებითი მუშაობისა შეუმკარდეს ნახევრად, ხოლო ვისაც ნახევარი სასჯელი უკვე მოუხდია, დაუყარებლივ განთავისუფლებულ იქნეს დანაშაულისაგან. ის პირნი, ვისაც იმავე დანაშაულისათვის განჩენილი აქვს სხვაგვარი სასჯელი, რაც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთის სასჯელთან, სრულიად განთავისუფლებული იქნენ სასჯელისაგან.

შენიშვნა: განთავისუფლება სასჯელისაგან ამა დადგენილების პირველი მუხლის თანახმად და სასჯელის ვადის შემცირება, ამა მუხლში აღნიშნული, გავრცელებულ იქნეს პარობით მსჯავრდებულებებზედაც. ამა მუხლის შეფარდება — არ უარყოფს ვადამდე განთავისუფლების შეფარდებასაც.

4. ამისტია — დამწყვედვისაგან განთავისუფ-

და კერძო ბრალდების წესით აღძრული საქმის მოსპობას, სასამართლოს განსაკუთრებულ დადგენილებას თვინიერ.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოცხადებისა.

საქ. ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახ. კომისარი ს. ქავთარაძე.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 9.

ტფილისი — სასახლე.

ბრძანება № 88.

საქართ. სოც. ს.ბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს სოც. ს.ბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის ამა 1921 წლ. ოქტომბრის 12 ს დადგენილების თანახმად გამოცხადებულია საყოველთაო ცნობად და სახელმძღვანელოდ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ცალკე კავკასიის არმიის რევოლიუციონური ტრიბუნალისა და მის განყოფილებათა გარდა, ამ ჟამად შეუძლიათ მოქმედება შემდეგ სასამართლოებს: სახალხო მოსამართლეთა საბჭოს და სახალხო სასამართლოებს, თანახმად 1921 წ. ივლისის 30-ს დამტკიცებულ დებულებისა საქართველოს სოც. ს.ბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს შესახებ, საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, თანახმად 1921 წ. აპრილის 3-ს დამტკიცებულ დებულებისა რევოლიუციონურ ტრიბუნალთა შესახებ და სამედიატორო სასამართლოებს, თანახმად საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ 1921 წ. აგვისტოს 8-ს დამტკიცებულ დებულებისა.

2. ამა ბრძანების 1 მუხლში აღნიშნულის გარდა, ყოველი სხვა სასამართლო გამოცხადდეს გაუქმებულად, მისი განაჩენი და გადაწყვეტილება კი სასამართლოს განაჩენის და გადაწყვეტილების ძალას მოკლებულად.

3. დამნაშავენი ამა ბრძანების შეუსრულებლობისა ან თვითნებობით სასამართლოს დაარსებისათვის ზემო ჩამოთვლილის გარდა, მიეცემა სასტიკი პასუხისმგებლობა რევოლიუციონური დროის კანონების მიხედვით.

საქ. სოც. ს.ბჭ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევ. კომ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ოქტომბრის 29.

ტფილისი, — სასახლე.

ბრძანება № 89.

საქართ. სოც. ს.ბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

ბრძანაც დიდი საჭიროებაა — წითელი არმიის სამხედრო ნაწილები ათვის ლაშქრის სამგზავრო ქვაბები მომარაგებულ იქნეს, — საქართველოს სოც. ს.ბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტი ბრძანებს:

1. ჩამოერთვას ყოველ სამოქალაქო დაწესებულებას და კერძო პირს, გარდა სამხედრო უწყებების საწყობებისა, — ლაშქრის სამგზავრო ქვაბები ყოველგვარი სახისა და ჩაბარდეს სამხედრო უწყებას.

2. ყოველი სამოქალაქო დაწესებულება და კერძო პირი ვალდებულია, არა უგვიანეს ერთი კვირის ვადისა, ამა ბრძანების აღდგომიერად გამოქვეყნების დღიდან, ჩაბაროს შემოსენებული სახის ქვაბები მაზრის სამხედრო კომისარიატს ან სამხედრო უწყების სათანადო ორგანოს.

დამნაშავენი ამ ბრძანების აუსრულებლობისათვის მიეცემა სასტიკი პასუხისმგებლობა რევოლიუციონურ დროის კანონების მიხედვით.

საქ. სოც. ს.ბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. მდივანი.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახ. კომისარი შ. ელიაშვილი.

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 9.

ტფილისი — სასახლე.

ბრძანება № 90.

საქ. სოც. ს.ბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

საქართველოს სოც. ს.ბჭ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის ნოემბრის 9-ს დადგენილებით, ამა მიქაილოვი და მანდიშვილი დაინიშნენ საქართველოს უზენაეს რევოლიუციონური ტრიბუნალის კოლეგიის წევრად 1921 წლ. ნოემბრის 25-დღე.

საქ. რევ. კომიტეტის თავმჯდ. ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 1.

ქ. ტფილისი, — სასახლე.

ლების სახით—გავრცელებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ პირებზე, ვინც საბჭოთა რესპუბლიკისათვის თვალსაჩინო საფრთხეს არ წარმოადგენს და იგი არა ვრცელდება მათზე, ვისაც სასჯელი განჩენილი აქვს ან ბრალი ედება: ა) ბანდიტიზმისათვის, ბ) ბოროტგანზრახულებითი სპეკულიაციისათვის, გ) შეთქმულებისათვის ან ისეთ ორგანიზაციაში მონაწილეობისათვის, რომელიც გამოადის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, დ) ჯაშუშობისათვის ე) სახელმწიფო ღალატისათვის და ვ) კონტრ-რევოლუციისათვის.

5. საკითხი, —ამა დადგენილებაში აღნიშნული წესის თანახმად, —ამნისტიის გავრცელებისა იმ პირებზე, ვისაც ამა დადგენილების მე-3 მუხ. ნაჩვენები დანაშაული ჩაუდენია დადგენილების გამოცემის დღემდე, და ვისი საქმეც ჯერ კიდევ განხილული არ არის სასამართლოს ან სხვა დაწესებულებათა მიერ, —უნდა გადაწყდეს, —საქმის არსებითი განხილვის შემდეგ, —დადგენილ განაჩენზე დამოკიდებულებით და გამოცხადებულ იქნეს განაჩენის გამოცხადებასთან ერთად.

6. განთავისუფლებულ იქნეს სრულიად სამართლისა და სასჯელისაგან დეზერტირები, რომელნიც ორი კვირის განმავლობაში, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა მათ სამყოფელ ადგილას, —ნებაყოფლობით გამოცხადდებიან —სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთან სასახოში ჩასარიცხავად.

შენიშვნა: ამა დადგენილებს მე-3 და მე-6 მუხ. აღნიშნული შტაფეტები გავრცელებულ იქნეს აგრეთვე დეზერტირების დამხმარეებსა და დამფარველებზე.

7. ის პირნი, რომლებზედაც ვრცელდება ამა დადგენილების 1, 3, 5 და 6 მუხლის მოქმედება, —განთავისუფლებულ იქნენ სამართალში მყოფელობის ყოველგვარი შედეგისაგან, როგორც პირადისა, ისე ქონებრივისა, —უკეთეს განაჩენი და დადგენილება ამ უკანასკნელი შედეგის (ქონებრივის) შესახებ არა ყოფილა ჯერ კიდევ აღსრულებაში მოყვანილი ამა წლის ნოემბრის 7-დღე და მას შემდეგ, რაც ამა დადგენილების ძალით, იგინი სრულიად განთავისუფლებულ იქნებიან სასჯელისაგან, ან მოიხდიან სასჯელს ამნისტიის შეფარდებისამებრ, —აღედგინოს მათ ყოველი უფლება, რომელიც მოსპობილი ჰქონდათ სათანადო დაწესებულებათა განაჩენით, ან დადგენილებით.

8. განთავისუფლება, ამა დადგენილების ძალით, სასჯელისაგან არ ანთავისუფლებს დამნაშავეს მისი დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან; ხოლო იმ საქმეების გამო, რომელიც განუხილველია და მოსპობილ უნდა იქნეს ამა დადგენილების თანახმად, გადახდევინება მოხდება სამოქალაქო სამართლის წესით.

9. დადგენილება ესე არა ვრცელდება იმ საქმეებზე, რომელიც აღძრულია კერძო ბრალდების წესით და შეიძლება შერიგებით გათავდეს.

10. დადგენილება ესე გავრცელდეს იმ მსჯავრდადებულებზედაც, რომელთაც შეეზღუდათ მისის 26-ს ამნისტია.

11. ამა ამნისტიის შეფარდება იმ პირთათვის, ვინც უკვე იხდის სასჯელს, დაევალება იმ სასამართლოს ან სხვა დაწესებულებას, აგრეთვე აღმინისტრაციულ ორგანოს, რომლის განაჩენითაც ან დადგენილებით ზემოაღნიშნულნი პირნი იხდიან სასჯელს.

12. წინანდელი წაობილების სასამართლოს მიერ მსჯავრ-დადებულთათვის ამნისტიის შეფარდება ჰპირდება სახალხო სასამართლოებს იმის მიხედვით, თუ რა ადგილას არის დედანი-საქმის წარმოება; იმ შემთხვევაში, უკეთეს საქმე სახალხო სასამართლოში არ იპოება, და აღძრულია იუსტიციის განყოფილებათა რაიონში, —ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სამაზრო განყოფილების კოლეგიის დადგენილებით, სადაც სათანადო დაწესებულება გაჭაზანის საქმის დედანს; ხოლო ქალ. ტფილისში აღძრულ საქმეთა შესახებ —ამნისტიის შეფარდება უნდა მოხდეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობი განყოფილების კომისიის დადგენილებით; ეს კომისია შედგება განყოფილების გამგისა და მისი თანაშემწეებისაგან.

შენიშვნა: იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ მოწყობილი არ არის იუსტიციის სამაზრო განყოფილებანი, ამნისტიის შეფარდებას აწარმოებენ მაზრის რევოლუციონური კომიტეტები.

13. ყოველი დასამწყვდევი ადგილი მოვალეა სამის დღის განმავლობაში წარუდგინოს დამწყვდეულთა სია ამა დადგენილების მე-11 და 12 მუხ. აღნიშნულ დაწესებულებათ.

14. საგამომძიებლო ორგანოებს ჰპირდება —ამა დადგენილების 1-ლი მუხ. ძალით მოსასპობი საქმენი, —თავიანთ დასკვნითურთ, —წარუდგინონ მოსასპობად სათანადო სახალხო სასამართლოს ან რევოლუციონურ ტრიბუნალს —ქვემდებარეობისამებრ; ამავე დაწესებულებათ იგინი უგზავნიან საქმეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც აღიძვრის ექვი, —მოსასპობია საქმე თუ არა.

15. მთელი მუშაობა ამა დადგენილების შეფარდებისათვის დასრულებულ უნდა იქნეს უუშოკლეს ვადაზე.

16. თვალყურის დევნება ამა დადგენილების სისწორით და გადაუხვევლად შესრულებისათვის დაევალება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას და დასჯა-გასწორების განყოფილებას, იუსტიციის სახალხო კომისარის საერთო ხელმძღვანელობით.

17. დანარჩენი ყოველგვარი განმარტებისათვის და საჩივრით ამნისტიის არა სწორი შეფარდებისა, ან სრულიად გაუვრცელებლობის გამო, უნდა მიმართონ იუსტიციის სახალხო კომისარს.

რომელზედაც დამოკიდებულია საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

18. დადგენილება ესე სისრულეში იქნეს მოყვანილი ტელეგრაფით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ., ნოემბრის 7.

ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 93

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საქართველოს სოციალისტური სიბჭეთა რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ორგანიზაციის გამო ამა 1921 წ. აგვისტოს 5 თარიღით № 2-ით გამოცემული დადგენილების შეცვლის შესახებ.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესაცვლელად საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი შესწორებანი:

ა) მუხლი მე-2 რე: უმაღლესი ეკონომიური საბჭო დამტკიცებულ იქნეს აშხ. აშხ. მდივნისა, ელიავასი, ტოროშელიძისა, მახარაძისა, ვირაპისა, ოკუჯავასი და სვანიძის შედგენილობით და საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის — თავმჯდომარეობით.

ბ) მე-5 მუხლს დავამატოს შემდეგი შენიშვნა: „სახალხო კომისარიატი, რომელიც არ ეთანხმება უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებას, ვალდებულია ამის შესახებ განაცხადოს 3 დღის განმავლობაში დღიდან ცნობის მიღებისა“.

გ) უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომები იმართება ერთჯერ არა იშვიათად კვირაში.

დ) უმაღლესი ეკონომიური საბჭოსთან სეკრეტარიატი არ იქნეს დაარსებული.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქ. რევ. კომიტ. თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 11.

ტფილისი. — სასახლე.

დადგენილება № 94.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა გასწორების განყოფილებასთან განმანაწილებელი კომისიის დაარსების შესახებ.

თავისუფლების აღკვეთით დასჯილ პირთა იმ სათანადო დაწესებულებათა შორის გასანაწილებლად, რომელთაც მიზნათ აქვთ მათი გასწორება და გაწრფნა, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასჯა გასწორების ცენტრალურ განყოფილებასთან მოეწყოს ცენტრალური განმანაწილებელი კომისია შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე — დასჯა-გასწორების განყოფილების გამგე, ან იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ დაინიშნული პირი, და წევრები: იმავე განყოფილების პიროვნულ ქვეგანყოფილების გამგე და სათანადო დაწესებულებათა მიერ დაინიშნული წარმომადგენლები: სახალხო მოსამართლეთა საბჭოსი, უზენაესი რევოლიუციონური ტრიბუნალისა, საქართველოს საგანგებო კომისიისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

2. უქმეთუ საქროება მოითხოვს, დასჯა-გასწორების ცენტრალური განყოფილების განკარგულებით, ასეთივე კომისიები შეიძლება დაარსებულ იქნეს ქუთაისისა და ბათუმის დასჯა გასწორების ქვე-განყოფილებასთან, შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარე — დასჯა-გასწორების ქვე-განყოფილების გამგე და წევრები: ადგილობრივი გამასწორებელი სახლის უფროსი, პოლიტიკური კომიტეტის წევრი, ადგილობრივი საგანგებო კომისიის და ადგილობრივი რევოლიუციონური ტრიბუნალის წარმომადგენლები, ერთი ადგილობრივი სახალხო მსაჯული, იუსტიციის სამსახურ განყოფილების მიერ დაინიშნული, და შინაგან გამგებლობის განყოფილების ერთი წევრი, ადგილობრივი რევოლიუციონური კომიტეტის მიერ დაინიშნული.

3. დასჯა-გასწორების განყოფილების და ადგილობრივი — ქუთაისის და ბათუმის — ქვე-განყოფილებათა განკარგულებით განმანაწილებელ კომისიებში შეიძლება მიწვეულ იქნენ კომისიის წევრთა უფლებით აგრეთვე: დასამწყვდევ ადგილთა გამგენი, პედაგოგები, ფსიქიატრები და სხვა, პენიტენციურ საკითხით დაინტერესებული პირნი.

4. აღნიშნული კომისიების და მათი კანცელარიის შესახები ხარჯი, აგრეთვე ხარჯი სამეურნეო და სხვა საქროების დასაკმაყოფილებლად, გაღებულ უნდა იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვით.

5. განმანაწილებელ კომისიათა დაწესებულებით

დებულება განისაზღვრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საპ. რეს. რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მღვანი.

იუსტიციის სახალხო კომისარი ს. ქავთარაძე.

რევოლუციონური კომიტეტის მღვანი
აღ. სალარიძე.

1921 წ. ნოემბრის 11.

თბილისი — სასახლე.

შინაგან საქ. სახ. კომისარ.

ბრძანება

შინაგან საქ. სახ. კომისარიატისა.

რადგანაც გახშირდა ტყეების ცეხლის გაჩენა და მოალოდაელა საშიშროება ს. ს. ს. რ. რესპუბლიკის ს მრეწველო და საწარმოვო დაწესებულებებისათვის და საწყობებისათვის.

1) ყველა გამ ეებს ფაბრიკა-ქარხნებისა და საწყობებისა ევალეათ გააძლიერონ ცეცხლის საწინააღმდეგო მეთვალყურეობა.

1. პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ის პირნი რომელნიც თავისი დაუდევრობის გამო ხელს შეუწყობენ ცეცხლის გაჩენას.

3) შემჩნეულნი განგებ ცეცხლის გაჩენაში, დაუყოვნებლივ იქნან დატუსაღებულნი და წარეგზავნონ ჩეკას.

4. სამართალში იქმნან მიცემულნი რესპუბლიკის ყველა ის მ-სამსახურეები, რომლებიც საქმეში ჩარევით ხელს შეუშლიან ცეცხლის მქრობელთა მოსამახურეებს, ე. ი. ცეცხლის მქრობლობის ინსპექტორს, ბრანდმაიორს, ბრანდმისტერს, მოხალსეთა რაზმის უფროსს, ცეცხლის მქრობლობის ინსტრუქტორს და ცეცხლის მქრობლობის სტაროსტას.

ბრძანება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი კვირკელია.

კომუნალური მეურნეობის სამმართველოს მთავარი
გამგე სიღამონიშვილი.

ცეცხლის მქრობლობის ინსპექტორის
მოადგილე შაახი.

4 ნოემბერი, 1921 წ.

ტფილისი.

ბრძანება

შინაგან საქ. სახ. კომისარიატისა

შინაგან საქ. სახ. კომისარიატისა

ქალაქების, მაზრების, რაიონების და თემების
რევკომებს.

ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და თანადებობის პირნი, არღვევენ ჩაქანონს და რევოლუციონურ წესრიგს, განაგრძობენ მოურადებლად სხვა და სხვა ცენტრალურ უწყებათა საქმეებში ჩარევას, თვითნებობით, სათანადო უწყების დაუკითხავად და მისი პროტესტის წინააღმდეგ, იჭერენ დაწესებულებათა შენობებს და ათასგვარ დაბრკოლებებს უჩენენ, ბინიდან ასახლებენ და ზოგჯერ შეურაცხყოფასაც აყენებენ უწყების თანამშრომლებს. მათ ვერ შეუდგიათ რომ ხაზინის ფოსტა-ტელეგრაფის შენობათა დაკავებით, ფინანსთა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების თანამშრომელთა შევიწროებით და მათ ბინებში სხვების ჩასახლებით ისინი მოქმედებენ საქ. სოც. საპ. რესპუბლიკის საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. გაცნობებთ, რომ არც ერთს იელი უფლების ორგანოს არა აქვს უფლება დაიკავოს ძთლად ან ნაწილობრივ, რომელიმე დაწესებულების, თანამშრომლების თუ კერძო პირის მოსათავსებლად, შენობა ან ბინა სხვა უწყებისა, ან შეეხოს ცენტრალურ უწყების თანამშრომელთა საცხოვრებლად და სამახუროს მოვალეობათა შესასრულებლად მიჩენილ ბინებს სათანადო უწყების ცენტრალურ დაწესებულების ნებადართუვლად. წინადადებას ვაძლევ ყველას, ვისაც ეს შეეხება, დაუყოვნებლივ დასცალონ ჯიკონოდ მითვისებული ბინები დაწესებულებათა თუ თანამშრომელთა და უკლებლივ მარტის ინვენტარით დაუბრუნონ კუთვნილებისამებრ.

ამ ბრძანების შესასრულებლად სასწრაფო ზომების მიღება ევალეათ ადგილობრივ კომუნალურ განყოფილებებს, ან სადაც ასეთები არ არის, ადგილობრივ რევკომებს, რომელთაც დაუყოვნებლივ უნდა მაცნობონ ბრძანებს სისრულეში მოყვანის შესახებ.

ამ ბრძანების შესრულების დაგვიანებისთვის დაწინაშეენი პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი და დაისჯებიან რევოლუციონური დროის კანონებით.

ხელს აწერენ: შინაგან საქმეთა სახალხო
კომისარი ბ. კვირკელია.

კომუნალური მეურნეობის სამმართველოს
მთავარი გამგე სიღამონიშვილი.

1921 წ., ოქტომბრის 6.

ქ. ტფილისი.

სირკულირულად

ყველა მაზრის, რაიონის და თემის რევკომს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი ა. შ. 11 ნოემბრის თარიღით № 2134 მომართვაში გვაცდობინებს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ ნატურალური გადასახადის ასაკობად სასურსათო კომისარიატმა უკვე დაიწყო მუშაობა თავისი ადგილობრივი ორგანოების საშუალებით და ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოები კი არ უწყვეტ მათ საჭირო ენერგიულ დახმარებას.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, მიიღო რა მხედველობაში ზევით აღნიშნული გარემოება, ვინაიდან ნატურალური გადასახადის მოკრების კამპანიას აქვს უდიდესი მნიშვნელობა რესპუბლიკისათვის, კატეგორიულ წინააღმდეგობას აძლევს ყველა მაზრას და მის ხელქვეით რევკომებს აღმოუჩინონ ენერგიული დახმარება მაზრის სასურსათო კომიტეტებს და სახალხო სასურსათო კომისარიატის რწმუნებულთა ნატურალური გადასახადის მოკრების დროს.

დახმარება უნდა გამოიხატოს შემდეგში:

ა) უნდა იქნეს გაწეული ფართოდ გიტაცია, რათა გადასახადი დროზე იქნეს წარმოდგენილი.

ბ) უნდა განემარტოს მცხოვრებთ აუცილებლობა და გადაუდებლობა ნატურალური გადასახადის მოხდის შესახებ.

გ) სადაც საჭირო იქნება და აუცილებელი უნდა იქნეს მიღებული იძულებითი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც გადასახადს არ გადიხდის და

დ) სახალხო სასურსათო კომისარიატის აგენტებს უნდა აღმოეჩინოს ყოველგვარი დახმარება საჭირო საშუალებათა მიწოდებით.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვირკელია.

საინსტრუქტორო-საინფორმაციო განყოფილების გამგე დ. ლამბაშიძე.

ნოემბრის 14, 1921 წ.

ტფილისი.

სირკულირირი

ყველა სამაზრა და ბათუმის მაზრის რევკომს.

უკან-სკნელ დროს მეტად გახშირდა ახალ ადმინისტრაციულ წვრილ ერთეულთა დაარსება რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეში. ეს მოვლენა თითქმის მასსიურ ხასიათსა ღებულობს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ეს ერთეულები არსდება მეტ წილად ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა მიერ დასტურის ძილებამდე ან კიდევ რაც

უარესია, ყოველივე სანქციის მიუღებლად, უკეთეს შემთხვევაში არის მხოლოდ სანქცია სამაზრო ან სარაიონო რევკომისა, რომელთაც ადგილობრივ (დეკრეტი საქ. რევ. კომიტ. ა. შ. 11 ნოემბრის გამოც.) ამის უფლება არა აქვთ. ასეთს მოვლენას შეაქვს სახელმწიფო მშენებლობაში არეზ-და-რევა და იწვევს მცხოვრებთა შორის არა სასურველ შედეგებს, გარდა იმისა, რომ თვით ფაქტი მრავალ ახალ ერთეულთა გაჩენისა დღევანდელ პირობებში სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით შესაწყნარებელია მხოლოდ განსაკუთრებულ საქაროების შემთხვევებში უზოულობა მეტად დიდს, ჩვენი რესპუბლიკის ხაზინისათვის აუტანელ ხარჯებს და შესაფერ მომზადებულ ადმინისტრაციულ პერსონალს, რაც ნამეტურ სოფლად, თითქმის არც კი მოიპოვება.

ვაპყრობ რა თქვენს ყურადღებას ყოველივე ზემოთ აღნიშნულ ფაქტებზე, წინადადებას გაძლევთ:

ა) დაუყოვნებლივ გააუქმეთ ხოლმე ყველა ის ადმინისტრაციული ერთეულები, რომელსაც ამიერ ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოთა გარეშე აღმოცენდებიან, ბ) შეაჩუქეთ ახალადმინისტრაციული ერთეულთა დაარსება და სათანადო შუამდგომლობა მათი დაარსების შესახებ აღძრით მხოლოდ იშვიათ, განსაკუთრებულ შემთხვევებში და გ) თუ უკვე არსებულ ერთეულებში რომელიმე ერთეულის გაუქმება შესაძლებლად მიგაჩნიათ მცხოვრებთა არსებითი ინტერესების დაურღვევლათ, ნუ დაყოვნებთ საკითხის დაყენებას ამის შესახებ ცენტრალურ ორგანოთა წინაშე.

შინ. საქ. სახ. კომისარი ბ. კვირკელია.

ადმინისტრ. ერთ. განყოფ.

გამგე გ. გველესიანი.

იუსტიციის სახ. კომისარიატი.

ინსტრუქცია

სამოქალაქო საქმეების მონაწილეთა წარმომადგენლების სიის შესადგენად.

1. სამოქალაქო საქმეების მონაწილეთა წარმომადგენლების სიაში შეტანილ უნდა იქნეს მოქალაქენი, რომელთაც სასამართლოს მიერ სახელი არ აქვთ შებღალული და თეორიული ან პრაქტიკული მომზდება აქვთ სამოქალაქო პროცესში მონაწილეთა წარმომადგენლობის მოვალეობის აღსასრულებლად.

2. საქმის მონაწილეთა წარმომადგენლები იმყოფებიან იუსტიციის განყოფილებასთან, იუსტიციის განყოფილება წარმომადგენელთა სიაში შეტანილს აძლევს მოწმობას, რომლის ძალითაც მას

უფლება ექნება აწარმოოს საქმეები საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ყველა სასამართლო დაწესებულებაში.

3. მონაწილეთა წარმომადგენლობის მოსურნეს შეიძლება უარი ეთქვას სიაში შეტანაზე როგორც ფორმალურ, ისე არა ფორმალურ მიზეზებისა გამო. უარი სიაში შეტანაზე შეიძლება განსაზღვრულ იქნას იუსტიციის სახალხო კომისარიატში.

4. მონაწილეთა წარმომადგენლების უწყსო მოქმედებას შესახებ დაინტერესებული პირები, სახალხო მოსამართლენი და სხვა დაწესებულებანი ცნობას აწვდიან იუსტიციის განყოფილებას, რომელსაც ეკუთვნის უფლება უშუალოდ თვალყური ადევნოს წარმომადგენელს. იუსტიციის განყოფილება, იმის და მიზეზით, თუ რაკვარია უფლების დაზღვევა, წარმომადგენლის მიერ ჩადენილი, განხილავს საქმეს სად სციპლინო წესით, მონაწილეთა დაბაობით, ან საზოგადო წესით აღძრავს სისხლის სამართლით დევნის უფლების დარღვევის წინააღმდეგ.

5. იუსტიციის განყოფილებას უფლება აქვს მოვალეობის დარღვევისათვის და საძრუის მოქმედებისათვის ბრალის სიმძიმის მიხედვით, მიუხედავად მონაწილეთა წარმომადგენელს, ა) საყვედური, ბ) გამორიცხვა სიიდან 2-დან 6 თვე დი და ვ) გამორიცხვა სამუდამოდ. იუსტიციის განყოფილების დადგენილება შეიძლება განსაზღვრულ იქნეს იუსტიციის სახალხო კომისარიატში ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც დაინტერესებულ პირს განსაზღვრული დადგენილება გამოეცხადა.

6. იუსტიციის განყოფილების განკარგულებით სამოქალაქო საქმას მონაწილეთა წარმომადგენლნი შეიტანებიან სისხლ ს სამართალში ბრალდებულთა დამცველთა სიაში, თუ შეუძლებელია კონსულტაციების დანიშვნა ხელმოკლე მოქალაქეთა საქმეების საწარმოებლად, ამ უკანასკნელთა თხოვნით იუსტიციის განყოფილებას შეუძლიან სამოქალაქო საქმის მონაწილეთა წარმომადგენლნი რიგ-რიგობით დანიშნოს. დანიშნულ წარმომადგენელს, თუ პატივ-სადები მიზეზი არა აქვს, არ შეუძლიან უარი სთქვას დაკისრებულ საქმის აღსრულებაზე.

7. წარმომადგენლებად არ შეიძლება იყვნენ: ბრალდებულნი, სახალხო მოსამართლენი, სახალხო გამომძიებელნი, სასამართლოს აღმასრულებელნი, მუშათა და გლეხთა მილიციის, საგანგებო კომისიის და მისი ორგანოების თანამშრომლები, საბჭოთა დაწესებულებათა პასუხისმგებელნი თანამშრომლები, და აგრეთვე ის პირნი, რომელნიც კონკრეტულად ან ზედპირდევლობაში მონაწილეობას იღებენ, ან საზოგადოდ გაგონენ აქვთ საქმის მსვლელობაზე დაწესებულებაში.

8. ყოველმა წარმომადგენელმა იუსტიციის განყოფილებას უნდა აცნობოს თავისი მუდმივი

ბინადრობის ადგილი; იგი მოვალეა აწარმოოს იმ საქმეთა სია, რომელიც მას აქვს მინდობილი აწარმოოს აგრეთვე ფულის დავთარი მარწყუნების სასარგებლოდ შესულ თანხების შესატანად.

9. წარმომადგენლის მძიმე ავადმყოფობის ან მისი გარდაცვალების დროს იუსტიციის განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები იმ საქმეების დასაკვაად, რომელიც მას ჰქონდა მინდობილი.

10. ქალაქ ტფილისში იუსტიციის განყოფილების მოვალეობის აღსრულება ეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

იუსტიციის სახალხო კომისარის

მოადგილე ბ. ბროდსკი.

ინსტრუქცია

სისხლის სამართალში ბრალდებულთა დამცველების სიების შესადგენად.

1. სისხლის სამართალში ბრალდებულთა დამცველების წინასწარი სიების შედგენა ევალება იუსტიციის განყოფილებას.

2. სიებში შეტანილ უნდა იქმნეს ის მოქალაქენი, რომელთაც წერა კითხვა იციან და სასამართლოს მიერ სახელმწიფოებლად არიან, და რომელთაც შეუძლიანთ აასრულონ დამცველის მოვალეობა.

3. იუსტიციის განყოფილებამ ყოველ ნახევარ წელიწადს ერთხელ უნდა მოსთხოვოს ადგილობრივ პროფესიონალურ კავშირებს იმ პირთა სიების წარდგენა განყოფილებაში, რომელთაც დამცველობა შეუძლიანთ. ასეთივე სიები უნდა მოითხოვონ იუსტიციის სამხრო განყოფილებებმა თემებისგან. ცნობები დამცველთა შესახებ წარმოებოთ კავშირებში და თემებში უნდა შეიტანონ ბლანკებში, რომლის ნიმუშებსაც იუსტიციის განყოფილებანი უგზავნიან.

3. პროფესიონალურ კავშირების და თემების მიერ გამოგზავნილ სიების თანახმად იუსტიციის განყოფილება ადგენს დამცველთა საერთო სიას. ეს სია შეესებულ უნდა იქმნეს იმ პირებთან, რომელნიც შედიან სამოქალაქო საქმეების მონაწილეთა წარმომადგენლების სიაში, აგრეთვე იმ სხვა პირებთან, ვისაც განყოფილება საჭიროდ დაანახავს.

5. იუსტიციის განყოფილება ყოველ სარაიონო სახალხო სასამართლოს და ტრიბუნალს უგზავნის მორიგ დამცველთა სიას მომავალ ნახევარი წლისთვის. ამ სიიდან სახალხო სასამართლო და ტრიბუნალი ნიშნავენ მორიგობით დამცველებს. სახალხო სასამართლო და ტრიბუნალი იტყობინებენ იუსტიციის განყოფილებას, სიაში შეტანილმა

რომელმა დამცველმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა და რა მიზეზით.

6. ის დამცველები, რომელნიც ნახევარი წლის განმავლობაში პატივსადებ მიზეზის გამო თავიანთ მოვალეობას არ შეასრულებენ, შეტანილ უნდა იქმნან შემდეგ მორიგ სიაში. ვინც თავს აარიდებს დაცვას, ის იუსტიციის განყოფილებაში ამხანაგთა სადისციპლინო სამართალში უნდა მისცეს, ხოლო ის, ვინც პროფესიონალურ კაფშირში არ ირიცხება, სახალხო სასამართლოს დებულების მე-20 მუხლის თანახმად პასუხის გებაში უნდა იქმნას მიცემული.

7. დამცველთა წინასწარ სიებს ამტკიცებს სათანადო სამაზრო და ქალაქის რეგოლიაციონური კომიტეტები.

8. ქალაქ ტფილისში იუსტიციის განყოფილების მოვალეობის ასრულება ეკისრება იუსტიციის სახალხო კომისარიატის სასამართლოს მომწყობ განყოფილებას.

სანიმუშო ბლანკი დამცველთა სიებისათვის.

გვარი, სა- ხელი და მამის სახე- ლი.	დაბადების წელიწადი.	დაბადების მისამართი	სოციალური მდგომარეობა, მუშა, გლეხი, მოსამსახურე.	გან- თღე- ბა.	პრო- ფესია	რომელ ენა- ზე ლაპარაკ- ობს.
---	------------------------	------------------------	---	---------------------	---------------	--------------------------------------

იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოადგილე ბ. ბროლსკი.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატი

ინსტრუქცია

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატთან
არსებულ განსაკუთრებულ კომისიის მოქმედ-
ების შესახებ.

1. საერთო დებულება.

1. მიწის მფლობელობით და ურთიერთობით
გამოწვეული დავის გარჩევა და გადაწყვეტა ევა-
ლება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატთან
არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო კო-
მისიას და მის განყოფილებებს მაზრებში (სამაზრო
კომისიები).

შენიშვნა: როცა დავის საგანს შეად-
გენს ლალის ანუ არენდის საკითხი, იმ შემ-
თხვევაში, თუ წარმოდგენილი იქნება მტკი-
ცე და უტყუარი საბუთი ისეთი მდგომარე-
ობის დამამტკიცებელი, რომელიც იგულის-
ხმება ცირკულარის № 3 პირველ მუხლში,
საქმეს სწყვეტს განსაკუთრებული სამაზრო
კომისიის თავმჯდომარე თითონ, უკომისიოთ.
უკმაყოფილონი მისი გადაწყვეტილებით შეი-
ტანენ საჩივარს მიწად-მოქმედების კომისარი-
ატის კოლლეგიაში, რომლის განაჩენიც სა-
ბოლოოვია.

2. საქმე ირჩევა საჯაროთ და სწყდება თა-
ნახმათ საქართველოს რეგკომის—დეკრეტებისა და
სოციალისტურ სინდისის მიხედვით.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში
(ავათმყოფობა და სხ.) მხარეებს შეუძლიანთ
იყალიბონ რწმუნებულები, რომლებთაც შე-
უძლიანთ იყონ მხოლოდ ახლობელი ნათესა-
ვები მომჩივან მოპასუხეებისა.

3. კომისიის სხდომა ჩაითვლება კანონიერათ,
თუ მას დაესწრო თავმჯდომარე ანუ მისი მოად-
გილე და არა ნაკლებ ორი წევრისა.

2. ორგანიზაცია.

4. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატ-
თან არსებულ განსაკუთრებულ საადგილ-მამულო
კომისიაში შედიან: თავმჯდომარე, მისი მოადგი-
ლე და ხუთი წევრი.

5. თავმჯდომარეს ნიშნავს მიწად-მოქმედების
კომისარი, ხოლო მის მოადგილეთ ითვლება საად-
გილ-მამულო პოლიტიკის განყოფილების გამგე.
განყოფილების გამგის თანაშემწენი, რომლებიც ხელ-
მძღვანელობენ მიწათ-მოწყობის და კოლექტივურ
მეურნეობის საქმეებს ითვლებიან კომისიის წევ-

რებად. დანარჩენ სამ წევრს გზავნის საქ. კომ. პარტ. ცენტ. კომიტეტი, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და პროფესიონალურ კავშირთა საბჭო.

6. კომისიასთან არსებობს კანცელარია, რომელიც შესდგება: მდივნისა, საქმის მწარმოებლისა, მანქანით გადამწერისა და რეგისტრატორისაგან.

3. სამაზრო კომისიები.

7. კომისიის სამაზრო განყოფილებაში შედიან: თავმჯდომარე და ხუთი წევრი.

8. თავმჯდომარეს ნიშნავს სახალხო კომისარი, ხოლო წევრებათ ითვლებიან სამაზრო საადგილო-მამულო განყოფილების კოლლეგიის წევრები და თითო წარმომადგენელი სამაზრო მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, პარტკომისა და პროფკავშირის.

4. საქმის გარჩევა სამაზრო კომისიაში.

9. ყოველი საქმე, დავა თუ პრეტენზია იწყება სამაზრო კომისიაში.

10. საქმის გარჩევის დღისთვის კომისია იწვევს მხარეებს და მოწმეებს უწყებით.

11. კომისია შეუდგება საქმის გარჩევას, თუ მხარეებს ჩაბარებული აქვთ უწყებები.

12. თუ საქმე მორიგებით არ გათავდა, კომისია შეუდგება მხარეების და მოწმეების დაკითხვას და საბუთების შემოწმებას, თუ უკანასკნელი საჭირო აღმოჩნდა.

13. როდესაც კომისია დაინახავს, რომ კითხვა საკმაოდ არის გამორკვეული, ადგენს თავის განაჩენს, რომელსაც უცხადებს მხარეებს.

14. უკმაყოფილო მხარეს შეუძლიან განასაზიგროს კომისიის დადგენილება სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილებისა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

შენიშვნა: კომისია საჯაროთ აცხადებს განსაზიგრების ვადას.

შენიშვნა: სააპელაციო საჩივარი უნდა შეტანილი იქნეს სამაზრო კომისიაში. თუ საჩივარი პირდაპირ ცენტრში იგზავნება, ამის შესახებ მომჩივანმა უნდა დაუყონებლივ აცნობოს სამაზრო კომისიას.

15. განსაზიგრებული საქმე სააპელაციო საჩივრითურთ იგზავნება მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში არა უგვიანეს სამი დღისა დღიდან სააპელაციო საჩივრის ან ამის შესახებ ცნობის მიღებისა.

16. ძალაში შესული დადგენილება უნდა იქნეს სისრულეში მოყვანილი სამაზრო რეგულიაციონური კომიტეტის საშუალებით.

შენიშვნა: განსაზიგრებული საქმე სისრულეში არ უნდა იქნეს მოყვანილი სამაზრო განსაკუთრებულ ცენტრში.

5. საქმის გარჩევა კომისარიატთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიაში.

17. განსაკუთრებული კომისია, მიიღებს რა განსაზიგრებულ საქმეს, ნიშნავს გარჩევის დღეს სამი დღის განმავლობაში დღიდან საქმის მიღებისა და იწვევს მხარეებს უწყებებით.

18. კომისიის მიერ გამოტანილი დადგენილება არა უგვიანეს სამი დღის, წარედგინება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარს დასამტკიცებლათ.

(ეს ინსტრუქცია დამტკიცებულია მიწად-მოქმედების სახ. კომისარის აშხ. მახარაძის მიერ 1921 წ. 31 ოქტომბრის თარიღით.)

ასლი სიჩუქულიარისა № 4124

ყველა სამაზრო მიწათ-მოქმედების განყოფილებებს, ასლი სამაზრო რეგკომებს.

ს. ს. ს. რესპუბლიკის რეგკომის დადგენილების 57 № მე 2-ე მუხლის განსამარტავათ გაცნობებთ, რომ სათბობი მასალა ნორმების მიხედვით და საშენებელი ნორმებისე ფარგლებში ნამდვილი მოთხოვნილების მიხედვით, თანახმად სათანადო მოწოდების წარმოდგენისა ადგილობრივ ხელისუფალთა წარმომადგენელთაგან, ან სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებისაგან, მიეცემათ სამაზრო სატყეო ქვე-განყოფილების განკარგულებით ადგილობრივ მკვიდრთა შემდეგ კატეგორიებს:

სრულიად უფასოდ:

ა) სტიქიური უბედურებისაგან (ცეცხლი, მიწის ძვრა, წყალი, სამხედრო მოქმედება და სხ.) დაზარალებულთ, თუ მათ სხვა სახსარი არა აქვთ.

ბ) უსახსრო ქერიებს, ობლებს და დაგრძო-მილებს, რომელნიც იმყოფებიან სოციალურ უზრუნველყოფილის მიმხედველობაში.

გ) უღარიბეს უსაქონლო მოსახლეებს, რომელთაც საკუთარი ნათესაობა არ ჰყოფნით თავის გამოსაკვებად.

დ) გადასახლებულთ სახალშენო ქვე-განყოფილების განკარგულებით.

შელავათიან ფასებში 50%—75% დაკლებით:

ა) ხელმოკლე მრავალ რიცხოვან ოჯახის მეპატრონე ერთ მუშა ხელს.

ბ) ხელმოკლე ახლად გაყოფილთ.

გ) ხელმოკლე მუშა-მოსამსახურეებს.

შენიშვნა: ზემო აღნიშნული წესით გა-
ცემული სათბობი და საშენებელი მასალა
უნდა აუცილებლად მოხმარდეს თავის პირდაპირ
დანიშნულებას, ამ წესით მიღებული მასალის გა-
ყიდვა, ან და სხვა პირზე გადაცემა სასტიკად აკ-
რძალულია, დამნაშავეთ მიცემული მასალა ჩამო-

ერთმევათ და პასუხის გებაში იქნებიან მიცემულ-
ნი.

მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ
ფ. მახარაძე.

საქმეთა მმართველი გ. ბერიძე.

სატყეო განყოფილების გამგე ს. ბაქრაძე.

არა-ოფიციალური განყოფილება.

აგრარული საკითხი საგარეო სა- ქართველოში

მიწა, როგორც ხალხის სიმდიდრე წარმოად-
გენს მიწათმოქმედების ქვეყნის მოსახლეობის უმ-
თავრეს საარსებო წყაროს. მრავალი ქვეყნის მც-
ხოვრებნი დღევანდლამდე უმთავრესად მიწის მუშა-
ბას მისდევდნენ და ამ მდგომარეობიდან შედარებით
მხოლოდ მცირე ქვეყნები გამოვიდნენ, რომელთაც
არსებობის წყაროდ დაისახეს სახელმწიფოს ინდუს-
ტრიისა და ალგ-მიცემობის განვითარება. მაგრამ
უკანასკნელ ხანამდე, მიუხედავად იმისა რომ სა-
ხელმწიფოში მცხოვრებთა აშკარა უპრავლესობას
შეადგენდა მიწის მომუშავე ნაწილი, ეს უკანას-
კნელი მაინც არა ჰფლობდა მთელს მიწას, და მის
განკარგულებაში იყო მხოლოდ მცირე ნაწილი.
გლეხობის ე. ი. მიწის მომუშავეთა მფლობელობა
ჩვეულებრივ უმნიშვნელო პროცენტს წარმოადგენ-
და სახელმწიფოში არსებულ მიწის მფლობელობას-
თან შედარებით.

აღსანიშნავია ერთი უცნაური და უსამართლო
მდგომარეობა, რომლის გეგმებითაც მცხოვრებთა
სწორად ის ნაწილი, რომელიც მთელს თავის სი-
ვრცელში ამუშავებდა მიწას და სცხოვრობდა
მხოლოდ საკუთარი შრომის ნაყოფით—ჰფლობდა
მიწის უმცირეს ნაწილს.

ეს მდგომარეობა ე. ი. გლეხობის მიერ მიწის
მხოლოდ უმცირეს ნაწილზედ მფლობელობა, ყვე-
ლა ქვეყნებში ჩვეულებრივი მოვლენაა და იგი და-
მახასიათებელი თვისებაა ბურჟუაზიული მსოფლიო-
სი. თვით ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელნიც მარ-
ტოდ-მარტო მიწის მეურნეობას მისდევდნენ, მიწის
მომუშავე გლეხობა მხოლოდ მცირე ნაწილს ჰფლობს

და ამავე დროს, ეს გლეხობა არის მკვეთრი და
მარჩენალი სახელმწიფოს მთელი მოსახლეობისა.

რუსეთში, რევოლუციამდე მიწის უდიდეს
სივრცეს მფლობელობა სახელმწიფო და ბურჟუა-
ზია მემამულეების, თავადების, ვაჭრების, მონა-
სტრებისა და სხვათა სახით.

ამ მიწის უზარმაზარი სივრცის უმეტესი ნა-
წილი თვით რუსეთის მაშტაბითაც კი, რომელიც
შეადგენდა მთელი სამუშაო მინდვრების $\frac{1}{3}$ -ს უქ-
მად იყო მიტოვებული და დამუშავებული რჩებო-
და ან იჯარით ეძლეოდათ გლეხებს, რომელთაც
მხოლოდ ამ საშუალებით შეეძლოთ გაეფართოვე-
ბინათ თავისი სამეურნეო კულტურის სივრცე.

1915 წლის სტატისტიკურის გამოკვლევით
ევროპის რუსეთის 50 გუბერნიის ითვისებოდა
395,192,443 დესეტინა მიწა, ამორიცხებაში არ შე-
დის ყარგიზეთისა ყალბუხას ვილეთი.

ამ მიწის მფლობელთა კატეგორია განაწილე-
ბულია შემდეგნაირად:

ხაზინას ეკუთვნის	138,086,168 დეს,
საფელ-სწულო მამ.	7,843,015 "
ეკლესიებს	1,871,858 "
მონატრებს	739,777 "
ქალაქებს	2,042,570 "
სხვა დაწესებულებათ	4,115,910 "
კერძო მესაკუთრებს	101,735,313 "
გლეხობას	138,736,587 "

ამასთანავე გოვხობა მიწის ფლობელობაში იყო
მთელი სივრცის ნახევ რზი ნა ლიბი რაოდენობა.

1915 წლის სტატისტიკის მიხედვით ზემოთ მოყ-
ვანილი 138 მილიონი დესეტინა მიწა, ეკუთვნო-
და სულ 12,297,905 კომლს. ისი რომ თითო
კომლზე საშუალოდ მოდიოდა 11 დესეტინა.

მიწით უზრუნველყოფის რაოდენობის მიხედ-
ვით გლეხთა მოსახლეობა იყოფოდა შემდეგნაირად:

მფლობელობა 5 დესეტინამდე 1,857,650 კომლი, ე. ი. 23,3% მოსახლეობისა,

" " 5 დან 8 მდე—3,317,601	" " 27,0% "	" "
" " 8 დან 20 მდე—4,807,044	" " 39,1% "	" "
" " 20 დან 30 მდე—1,062,504	" " 1,9% "	" "

ამ რიგად თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში თითო კომლზე 50 ლესეტიანა და (მეტრის) მოდიოდა მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევები იყო (1,9% მეკომურთა საერთო რაოდენობიდან) და ისიც ისეთ ადგილებში, სადაც არ იყო მჭირლო მოსახლეობა. რაც შეეხება რუსეთის შიდა გუბერნიებს, გლეხობა ძლიერ ნაკლებად იყო დაკმაყოფილებული მიწით რომლის რაოდენობაც $1\frac{1}{2}$ დან $1\frac{1}{2}$ ლესეტინას არ აღემატებოდა კომლზე. ამ მოვლენას ხელსუწყობდა აგრძელებადგილობრივი სპეციფიური პირობებიც, გამოწვეული მემამულეთა მხრივ, რომელნიც მკაცრ ბრძოლას აწარმოებდნენ გლეხობის მისწრაფებასთან, ამ უკანასკნელთა მიწისმფლობელობის გაფართოების ნიადაგზე.

გლეხობას ეძლეოდა ან სანადელო მიწები, რომლებიც ძლიერ ხშირ შემთხვევაში ჭაობიანი, ქვიშიანი, ქაღვნიარით მოფენილი და საერთოდ გამოუსადეგარი იყო დასამუშავებლად, ან კიდევ მიწისაღ ნაქრები, რომლებიც დაშორებული იყო როგორც ერთი-მეორეს, ისე გლეხის საცხოვრებელ ადგილს.

გლეხებს ხშირად აძლევდნენ ისეთ მიწებს, რომლებიც მემამულეთა მიწებში სოლივიით იყო შექრილი და რომელთა დამუშავებაც შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხები მათ მიწებზე გადაივლიდნენ. ეს მდგომარეობა აიძულებდა გლეხებს იჯარით აეღოთ ხშირად მათთვის არა საჭირო მემამულეთა მიწები, ანდა ეძლიათ მუდმივი ჯარიმა სხვა და სხვა წინახედისათვის და სხვა ასეთი სპეციფიური პირობები ბევრი იყო, რომლებსაც დამღუპველი გავლენა ჰქონდათ გლეხის მეურნეობაზე და მასასადავ მთლად სახელმწიფოს სამეურნეო ეკონომიკაზედაც.

ყველა ამ მიზეზებმა გამოიწვია არა მარტო მიწის სიმცირე რუსეთის გლეხობისთვის, არამედ მათი სრული უმიწოდ დარჩენაც.

გლეხობის ათასეული მეურნეობის დარგი განადგურდა, იგი ხელდაბანილი დარჩა თავისი მიწისაგან, რადგან ამ მეურნეობის პატრონი იძულებული იყო ან მოერწყო თავისი მამული, ან მიეყიდნა სოფლის „კულაკისთვის“ სრულიად უმნიშვნელო ფასად. ამრიგად გლეხობა სტოვებდა თავის მიწას, ინტენტარს და მთელს სამეურნეო ხელსაწყოს. უსაქმოდ დარჩენილი გლეხთა მასები იძულებული იყვნენ ან გადასახლებულიყვნენ ციმბირის ახალ ადგილებზე, სადაც მეფის მთავრობის გადამსახლებელ საპროტეგლოს, რომელიც სკდილობდა დაესახლებინა და კოლონიად გაეხადა ციმბირის ფართე ველები, — უფასოდ გადაჰყავდა ისინი და ასახლებდა შეღავათიან პირობებში, ანდა გახიზნულიყვნენ ქალაქებში, სადაც ისინი ამრავლებდნენ ქალაქის პროლეტარიატის რიცხვს და ფასს უკარგავდნენ მათი მუშაობის გასამრჯელოს.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთის გლეხობამ რაოდენადმე გააფაროოვა თავისი მიწათმფლობელობის რაოდენობა, მაგრამ ეს წვეთი იყო გლეხთა საჭიროების ზღვაში, რადგან თუმცა გლე-

ხობის ხელში გადადიოდა მემამულეთა მიწები, მაგრამ ჯერ ერთი ეს მიწები არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილების თვალსაზრისით ჰერცოგს, და მეორეც გლეხები ყიდულობდნენ მათ, ამ მიზნისათვის არსებულ საგლეხო ბანკის საშუალებით; ესე იგი სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ ძლიერ მძიმე სასყიდელი უნდა გაეღოთ იმ მიწებში, რომლებიც ხშირად მათს ფაქტიურ კუთვნილებას შეადგენდა, რადგან ისინი მთელს სიცოცხლეში ამუშავებდნენ ამ მიწებს.

ცენტრალურ რუსეთში არსებული მიწის სიმცირე, რომელიც ხშირად იქამდე მისულა, რომ გლეხი ფაქტიურად მოკლებული იყო თავის ნაჭერი მიწის დამუშავების შესაძლებლობას, — იყო მიზეზი რუსის გლეხის მუდმივი სიღატაკისა და მისი მოუხეშავობის.

რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზე ამ უკანასკნელ ხანამდე გლეხები აწარმოებენ ისეთ პრიმიტიულ მეურნეობას, აქამდე ისინი მისდევდნენ იმ მეთოდებს, რომლებსაც თითქმის ათასი წლის წინად მისდევდნენ.

რუსის გლეხის სიღარიბე და გაჭირვება ანდაზებშია შემოსული, და ეს მაშინ, როდესაც ეს გლეხი რუსეთის მრავალ მილიონიან მოსახლეობასა ჰკვებავდა (150 მილიონამდე) და თავისი სარჩოთი იმარაგებდა თითქმის მთელს ევროპას გაღატაკებული რუსი გლეხი, მრავალი წლის განმავლობაში თავგამოდებოდა მეცადინეობდა თავის წილი მიწის გასაუმჯობესებლად, იგი სცდილობდა ამ მიწის მემამულეთა და სოფლის კულაკების ხელიდან გამოგლეჯას, ამ ბრძოლის ისტორიაში მრავალი სისხლიანი ფურცელია ჩართული. მიუხედავად იმ მრავალგზისი დაპირებისა, რომლითაც უმასპინძლებოდა რუსის გლეხობას ჯერ მეფის მთავრობა და მერე კი (თებერვლის რევოლუციის შემდეგ) დროებითი მთავრობა, რუსის გლეხმა მიწა მაინც ვერ მიიღო, ვერ მიიღო იგი გამოსყიდვის საშუალებითაც კი.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაავიზგინა გლეხთა მისწრაფება და მათ გადასცა მთელი რუსეთის მიწები. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დეკრეტს წარმოადგენს — დეკრეტი მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის შესახებ და მის გადაცემას მიწის მომუშავეთა სრულს განკარგულებაში იმ ზოგიერთ მეურნეობათა გამოკლებით, რომელთაც თავიანთ მდგომარეობით აქვთ საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, როგორც მაგ. სანიმუშო ფერმები, ყველანაირი კერძო და სახაზინო სანერგეები, საცდელი და სანიმუშო მინდვრები და სხვ. ამასთანავე ერთად გაუქმდა კერძო საკუთრება ტყეებზე და ისინი გამოცხადდა სახელმწიფოს საკუთრებად, რადგან მათ განსაკუთრებული მოვლა და მზრუნველობა ექირვებათ. ამავე დროს მცხოვრებთ უფლება ეძლევათ სახელმწიფო ტყეებიდან უფასოდ ისარგებლონ სათბობი და საშენებელი მასალა. სახელმწიფო საკუ-

თრებად გამოცხადდა აგრეთვე ყველა სასოფლო სა-
მეურნეო იარაღები და მანქანები.

ამრიგად საბჭოთა ხელისუფლებამ თავის თავ-
ზე მიიღო განსაკუთრებული ზრუნვა სახელმწიფოს
მიწათ-მოქმედების შესახებ და მთელი ღონისძიება
მიმართა იქით, რომ რამდენადაც შესაძლებელია
გააფართოვოს გლეხთა მიწათმფლობელობა და მისი
სარგებლოანობა, შეამსუბუქოს გლეხთა შრომა და
მათი ცხოვრება და ამავე დროს მიიღოს სასოფლო
მეურნეობის ნაწარმოებთა მაქსიმუმი.

ამრიგად ოქტომბრის რევოლუციის ერთი
უდიდესი მიზნებათაგანი იყო ის, რომ მან გაანთ-
ვისუფლა მიწა და გლეხთა შრომა მემამულეთა და
კულაკების ბატონობისაგან. ამიტომ ამ რევოლუ-
ციის მნიშვნელობა იმდენადვე გლეხურია, რამდენ-
ადაც პროლეტარული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამ-
ყარებისთანავე ქართველ გლეხს შეეძლო უკვე სა-
მუდამოდ დარწმუნებულიყო, რომ ყველა მემამუ-
ლეთა მიწები მის ხელში გადავიდოდა.

საქართველოში გლეხის მიწით უზრუნველყო-
ფის საქმე ყოველთვის უმაღლურ პირობებში იყო ჩა-
ყენებული. მიწების დიდს და საუკეთესო ნაწილსა
ჭელობდნენ თავთა-აზნაურობა, ხაზინა და სხვა,
რომელთა ხელშიაც მოგოვნილი იყო სახელმწი-
ფოს მიწების მთელი სიმდიდრე. უმიწაწყლო და
მცირე მიწის მქონე გლეხები, რომელთა რიცხვიც
წლითი-წლობითა მრავლდებოდა, იძულებულნი იყ-
ვნენ მიწა იჯარით აეღოთ, რისთვისაც მემამ-
ულეებისათვის სასყიდელი უნდა გადაეხდათ
და სხვის მამულში ემუშავნათ. უკანასკნელ ხანებში
განსაკუთრებით საქართველოში გახდა საგრძნობი
მიწის საკითხის მოუგვარებლობა, და თვით მიწის
მოუწყობლობა. თეიერვლის რევოლუციამ და სა-
ქართველოს ყოფილმა მთავრობამ საქართველოს
გლეხობაში გააღვიძეს დიდი იმედები და მოლოდი-
ნი. მაგრამ ამ იმედებს ბედმა არ გაუღიმათ და არ
ელირსათ განხორციელება. თავადები კვლავ დარჩნენ
თავიანთ მიწის მფლობელებად. ამ მიწებს ისინი აძლე-
დნენ იჯარით და ფრიად ხელსაყრელ ფასს იღებ-
დნენ სხვისი შრომის ხარჯზე.

ბატონობის დროის მსგავსად გლეხი განაგრ-
ძობდა ძუშაობას თავისი მემამულის სასარგებლოდ,
რომელსაც იჯარას ან ფულით აძლევდა, ან თავისი
შრომის ნაყოფით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გა-
მოცხადებამ ბოლო მოუღო ამ მდგომარეობას.

საბჭოთა საქართველოს მთავრობის მოღვაწეო-
ბის ერთ უპირველეს და უდიდეს აქტათაგანი იყო
ამა წლის ექვსი აპრილის თარიღით გამოცემული
დეკრეტი № 17 მიწის შესახებ.

საქართველოს საბჭოთა მთავრობამ ეს საკით-
ხი უმაღლ დააყენა დღიურ წეს-რიგში და განაცხადა,
რომ მიწის საკითხი უნდა გადაიჭრას მხოლოდ
მშრომელთა სასარგებლოდ. ამრიგად მიწის მფლო-
ბელობის უფლებას საფუძვლად დაედო ერთი პრინ-

ციპი: შრომა, ვინც მუშაობდა მიწაზე, ვინც ოფლის-
ღვრიდა მის გასაპოხიერებლად, მასვე შეუძლიან
მიიღოს იგი სრულს თავის განკარგულებას. ამიტომ
როგორც საკუთრება, არაფისია, მაგრამ ეს განკარგუ-
ლებულია მშრომელი ხალხის საერთო კუთვნილე-
ბად. ამის გამო მიწის ყიდვა-გაყიდვა ან მისი იჯა-
რით გადაცემა ვის ხელშიაც არ უნდა იყოს, აკრ-
ძალულობა.

მთელი მიწის ნაკრები, და მემამულეებისა,
მონასტრებისა და სხვა მახვილ მფლობელთა მამუ-
ლები მთელის შენობებით, ინვენტარით და სასო-
ფლო-სამეურნეო იარაღებით უნდა ჩამოერთვას
ძველს მებატონეთ და წინად ჩამორთმეულ მიწე-
ბთან ერთად გადაირიცხოს სახელმწიფო ფონდში-
რესპუბლიკის მშრომელთა სასარგებლოდ.

სახელმწიფო სცდილობს რომ, იმ მიწიდან,
რომელიც ჩამოერთმევა არა მშრომელ და პარაზი-
ტულ ელემენტებს, შეჰქმნას განსაკუთრებული ფო-
ნდი, საიდანაც უნდა უზრუნველყოფოს უმიწაწყლო
და მცირე მიწის მქონე მშრომელი გლეხობა.

ამიტომ ეს კანფისკაცია სრულიადაც არ ეხე-
ბათ საშუალო და წვრილ მიწის მფლობელთ,
პირიქით მათ შეუძლიანთ იმედი იქონიონ მათი
ოჯახისათვის და საკმაო მიწის ძილებისა.

ამაიოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ერთის დაკ-
ვრით გადასჭრა ძველი ქართველი გლეხობისათვის
ძტივნული საკითხი მიწის შესახებ. ამ საკითხს
გრძელი ისტორია აქვს და მის ცდაში, საკმაო სი-
სხი დაღვრილა ქართველი გლეხისა. მთ-ლი წარ-
სული საუკუნე წარმოადგენს ნახევრად მონა ქარ-
თველ გლეხობის სამკვდრო სასიცოცხლო ბოძო-
ლას თავიანთ მემამულეებთანა და თავდაზნაურო-
ბასთან. 1819 წლიდან დაწყებული თითქმის უკანა-
სკნელ ხანამდე საქართველოს სხვა და სხვა კუთ-
ხეში იფეთქებდა ხოლმე „აგარაული უწყესობანი“
„აჯანყებანი“ და „რევოლუციაც“ კი.

ხსენებულ წელს აჯანყდნენ ქსნის ხეობის
გლეხები, რომელთაც გაანადგურეს ს. ლამისყანა,
ამოსწყვიტეს იქაური თავადები და დააწესეს სადა-
რაჯო თავიანთ სოფლების დასაცავად. ამისი მიზე-
ზი იყო ის, რომ ხსენებულმა თავადებმა „შეიარა-
ლებული ხელით“ ააწიოკეს და გაძოცვეს გლეხთა
რამოდენიმე სოფელი, და ამისათვის მათ პასუხი არ
უვიათ არავის წინაშე. მიწის დაუფლების მიზნით
უწყესობანი და სისხლის მღვრელი აჯანყებანი ხშირ
მოვლენად გადაიქცა საქართველოში და იგი დრო
და დრო თავს იჩენდა სახელმწიფოს სხვა და სხვა კუ-
თხეში, რომლებიც ყოველთვის ჩაქრობილ იქნა
დიდის და გაძანადგურებელი სასასტიკით. ყველა ეს
მოვლენანი და აგრედვე 1905—6 წლებში მომხდა-
რი ძღველფარება, გვიმტკიცებს რომ თუმცა რაო-
დენადაც მაგრამ მაინც ძლიერ ცოტად გაუმჯობე-
სდა ქართველი გლეხის მდგომარეობა. ესლა კი-დაღვ-
რილობა სისხლში ქართველ გლეხს უნდა მისცეს თავისი
საზღაური. მშრომელმა მასსამ უნდა მიიღოს ის, რაც
მას ეკუთვნის უფლებით, ხოლო ეს უფლება მას

მოპოვებული აქვს გაღებული მსხვერპლითა და ოფლით. საბჭოთა მთავრობამ მას მისცა მიწა სრულს განკარგულებაში და არა იჯარით ან გამოსყიდვით.

ამაში არის დიდი სიბრძნე და განკერძოება საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელმაც განსაზღვრობა მოახდინა მთელი მიწებისა, მათთან არსებული სამეურნეო იარაღებისა და იგი კუთვნილებით სამეზრ გადასცა მშრომელ გლეხობას.

ეს არ არის აქტი ღატაცებისა, არამედ იგი არის სამართლიანი განაწილება და მშრომელთა უფლების განხორციელება.

მაგრამ მიწების კონფისკაციით საბჭოთა ხელისუფლებამ ძველ მფლობელთ სრულიად როდი მოუსპო მიწით სარგებლობის საშუალება, ვინაიდან მიწის დაშუშავების უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელიც მას დაიმუშავებს საკუთარს შრომით. რაც შეეხება მიწით სარგებლობის ფორმას, იგი თავისუფალია და სულ ერთია — იქნება იგი საზოგადო ამხანაგურ თუ კომუნალურ ნიადაგზე.

მიწის გამწესრიგებელი კომიტეტი პირველ რიგში განსაზღვრავს იმ მიწის რაოდენობის ნორმას, რომელიც ხელუხლებლად უნდა ღარჩეს პირვანდელ მფლობელს. კომიტეტი ამავე ნორმითა ხელმძღვანელობს უმიწაწყლოთა შორის მიწების განაწილების დროსაც. მიწის განაწილების დროს, კომიტეტი მხედველობაში იღებს როგორც დაშუშავების უნარს, აგრედვე ოჯახის შემადგენლობასაც. მიუხედავად ამისა, ხსენებული ნორმა არ უნდა იყოს იმაზე ნაკლები, რაც საჭიროა ერთი კომლის საარსებო მინიმუმის დასაკმაყოფილებლად.

თავისთავად საგულისხმოა, რომ ეს ნორმები თვითელი რაიონისათვის ცალცალკე გამოამუშავდება და შეფარდებული იქნება ადგილობრივ პირობებთან, გასანაწილებელ მიწის რაოდენობასთან, მცხოვრებთა მკიდრო მოსახლეობასთან და სხვა. ამის მიხედვით ეს ნორმა შეიძლება ერთგან მეტი იყოს, ხოლო მეორე ადგილს ნაკლები რაოდენობისა. კომისიის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს ის, რომ მიწები ყველას თანაბრად გაუნაწილონ. აქ სხვა დაბრკოლებანიც რომ არ ვიგულისხმოთ ეს პირდაპირ მოუხერხებლად გვეჩვენება მაშინაც, თუ გავითვალისწინებთ მშრომელთა ოჯახის წევრების სხვა და სხვა რაოდენობა. სახნავი მიწების ნორმის განსაზღვრის ცალკე შემთხვევაში, შეიძლება მთელი სახნავი მიწიერი დაიყოს კატეგორიებად და ყოველ კატეგორიაზე ნორმა ცალკე განისაზღვროს. სახნავი მიწების ნორმებიდან უნდა განირჩეოდეს მიწის ასეთი კატეგორიები, რომელთაც მცხოვრებნი მეურნეობის სხვა დარგში იყენებენ. ამის შესახებ საბჭოთა საქართველოს მიწების კონფისკაციისა და განაწილების წესებში ნათქვამია რომ სამოსახლო, სავენახე, საბოსტნე და ვზოებთან მდებარე ტყის ნაჭრების ნორმა ცალკე მუშავდება და იგი არ შედის სახნავი მიწების ნორმის საერთო რაოდენობაში. წესებში ის განსაზღვრულია, როგორც კომიტეტების მოქმედების წესრიგი

და მუშაობის მიმართულება. საადგილო-მამულო კომიტეტებმა უნდა შეიმუშაონ განსაზღვრული ნორმის პროექტი და წარუდგინონ სამხალხო საადგილო-მამულო განყოფილებას, რომელიც განიხილავს მას და მოწონების შემდეგ დასამტკიცებლად გაუგზავნის მიწად-მოქმედების კომისარიატს.

და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც მიწადმოქმედების კომისარიატი დაამტკიცებს პროექტს, კომიტეტს შეუძლიან ყოფილ მემამულეებს ჩამოართვან ჩამონატრები, ე. ი. კანონით დადებულ ნორმას ზევით მორჩენილი მიწები და ისინი განაწილოს კომლეურად, ან სხვა სახით, როგორც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვს. საადგილო-მამულო კომიტეტებს ევალებათ აგრედვე გამოარკვევან საფონდო მიწების საერთო რაოდენობისა და მუშა ხელის რიცხვისა, — მათ ქვემდებარე ადგილებში. მიწების ფონდი გამოანგარიშებული უნდა იყოს კატეგორიების მხრივაც. რაც შეეხება მუშა ხელის აღრიცხვას, იგი უნდა სწარმოებდეს კომლობრივ და მხედველობაში უნდა იქმნას მიღებული სქესი, წლოვანება, შრომის უნარი, ქონებრივი მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი, ხელობა, სამსახური და სხვა. ყველა ეს ცნობები თან ეოთვის ნორმის განსაზღვრისათვის შედგებილ პროექტს და წარედგინება მიწადმოქმედების კომისარიატს.

ასე მიუღდა ღარიბ გლეხთათვის მიწით დაკმაყოფილების საკმახს საბჭოთა მთავრობა, რომელმაც მხედველობაში მიიღო როგორც ყველა ობიექტიური პირობები, რომლებიც კი ენება გასანაწილებელ მიწის ფონდს, ისე ამ მიწით მოსარგებლე სუბიექტის ყველა მდგომარეობის პირობებიც.

მიწის განაწილების დროს — საადგილო-მამულო კომისიები პირველ რიგში აკმაყოფილებენ სრულიად უმიწაწყლო პირთ სამოსახლო, — და სხვა ადგილებით და შემდეგ კი ნორმას აძლევენ მცირე მიწის მქონე მშრომელთ.

უმიწაწყლოთათვის სამოსახლო ადგილების მისაცემად გამოყენებული უნდა იქმნას კონფისკაციით ჩამორთმეულ მიწის ნაჭრები, ხოლო უკეთეს ასეთი ნაჭრები არ მოიპოვება, მაშინ ეს მოთხოვნილება შეძლებისადაგვარად უნდა დაკმაყოფილდეს სოფლის მახლობლად მდებარე სახნავი მიწების ფონდიდან.

ყველა ამ პირობის დაცვით-საბჭოთა მთავრობა პირველი მიუღდა საქართველოში აგრარული საკითხის პროქტიკულად გადაჭრას. მაგრამ ყოფილ მემამულეთა და პარაზიტულ ელემენტებისათვის მიწები ჩამორთმევა და მათი დანაწილება ნამდვილ მშრომელთა შორის — კიდევ არ ნიშნავს აგრარული საკითხის საბოლოოდ გადაჭრას, რადგან ქვეყნის აყვავება და ბედნიერება მხოლოდ იმაში კი არა მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ რაოდენობის ღვსეტიან მიწა გადავიდეს მშრომელთა ხელში, არამედ საბოლოო მიზანი სახელმწიფოში მიწის კულტურის განვითარებასა და აგრო-ტექნიკის გაფართოვებაშია. ამიტომ მშრომელთა შორის მიწების დანა-

წილება არის მხოლოდ ერთათ ერთი აქტი საქართველოში აგრარული საკითხის გადაჭრის. ამ საკითხის მეორე უფრო საყურადღებო ეტაპი არის მეურნეობის დარგში ისეთი პირობების შექმნა, რომლებშიც მცხოვრებთ შეძლება ექნებათ შრომის მინიმუმით მიიღონ მისი მაქსიმუმი ნაყოფი.

სწორედ ასეთ პირობების შექმნაში უნდა გამოიხატოს საბჭოთა ხელისუფლების შედეგი, უფრო ძნელი სამუშაო—აგრარული საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად და დასავვირგვინებლად.

სახელმწიფოს მეურნეობის წარმოება აქამდე ბრკოლდებოდა ერთი მიზეზით: (რასაკვირველია მხედველობაში ათასგვარ პოლიტიკურ და სხვა ხელის შეშლელ მიზეზებს) ეს მეურნეობა არა სწარმოებდა რაციონალურად, იგი იყო შინაურულ, უსისტემო და უნაყოფო ნიადაგზე დაყენებული.

მხოლოდ ამ წესისაგან თავის დახწევით, მხოლოდ მეურნეობის სახელმწიფოებრივ კალაპოტში მოქცევით შეიძლება სასიფლო მეურნეობის ისეთი ინდუსტრიის შექმნა, რომ ამ დარგში გაწეული შრომის ანაზღაურება შეიძლებოდეს აღურიცხველის ნაყოფიერებით.

აი, ამ საკითხის მეორენახევრის გადაწყვეტისაკენ არის მიმართული საბჭოთა ხელისუფლების მთელი გულისყური, რომელიც მოითხოვს მძიმე და პასუხისმგებელ მუშაობას.

ლ. სარაჯიშვილი.

(შემდეგი იქნება)

ადმინისტრაციულ პრინციპთა გან- მარტვობაში.

(შემდეგი *)

განყოფილებაში დასრულებულ საქმეთა შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია საკითხი სამხრეთ-ოაეთის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის შესახებ.

ოსთა საკითხს საქართველოში უკვე თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მენშევიკების მთავრობის დროს ოსთა მოსახლეობა პოლიტიკურ ავტონომიის საკითხს აყენებდა. ამის შესახებ სათანადო რეზოლიუციები გამოჰქონდათ ჯავაში და ცხინვალში იმ ხანებში გამართულ ოსთა ეროვნულ საბჭოს ყრილობებზე.

მათი იმ დროს შედგენილი პროექტით ოსთა ავტონომიის ტერიტორია უნდა შეიცავდეს: რაჭის მაზრის—ჩასავლის საზოგადოებას, შორაპნის მაზრის—ჩიხის საზოგადოების 3 სოფელს—თედელეთს, ჯულაბეთს და ხახეთს, გორის მაზრის—როკის, ყუმულთის, ჯავის, ორტევის, ყორნისის, წუნარის,

ანდორეთის, ბელოთის და ვანათის საზოგადოებებს და დუშეთის მაზრის—რეხულის, ზეგნის, მონასტერის საზოგადოებებს. გარდა ამისა, რიტორიაში უნდა შესულიყო აგრეთვე მთელი რიგი შერეულ საზოგადოებათა ნაწილებისა, სახელდობრ, რაჭის მაზრაში გარის საზოგ. ნაწილი, გორის მაზრაში—ოქანის, მერეთის, ხელთუბნის და ქვემო-ქალის საზოგადოებათა ნაწილები და დუშეთის მაზრაში—გუდის ხეობა მთიულეთის საზოგადოებაში და ახალგორის საზოგადოების ნაწილი.

ამ სახით, აღნიშნულ პროექტით, რომელსაც ოსთა დედეგაციები მენშევიკურ მთავრობის წინაშე იცავდნენ, ტერიტორიულ-ავტონომიურ ერთეულში შედიოდა 13 სოფლის საზოგადოება, 3 სოფელი და მთელი რიგი შერეულ (ქარაველ-ოსთა) საზოგადოებათა ნაწილები.

მთელი ეს ტერიტორია შეიცავს 3000 ოთხკ. ვერსტზე ცოტა მეტს, ხოლო მცხოვრებთა რიცხვი უდრის 70,000. მთელს საქართველოში კი ოსთა მოსახლეობის რიცხვი, პროექტის შემდგენელთა სიტყვით, უდრის 100,000 სულს (აქ მიღებულია სათვალავში ოსები, რომელნიც ცხოვრობენ ბორჯომის რაიონში, სიღნაღის, თელავის, თიანეთის მაზრებში და ტფილისის მაზრის მანგლისის რაიონში). საქართველოში არსებულ სამაზრო ერთეულებს რომ შევადაროთ, მთელი ეს ტერიტორია თავისი სივრცით თითქმის მთელ დუშეთის ოლქსა მაზრას (ამ მაზრის სივრცე 3411,84 ოთხკ. ვერსტია) უდრის, ხოლო რაჭის (2476,58) და შორაპნის მაზრაზე (2619,35) მეტია.

ავტონომიური ერთეულის ადმინისტრაციულ ცენტრად ოსური პროექტი ცხინვალს აცხადებდა. ნაცვლად ამისა, მენშევიკურმა მთავრობამ, შინ. საქ. სახ. სამინისტროს სახით, 1919 წლის ივლისში დააყენა საკითხი ფართე საერო მოვით-მართველობის მინიჭებისა ოსთათვის, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულის—ახალ მაზრის დაწესებით.

„არავითარ დავას არ იწვევს ჩვენში ის გარემოება, ამბობდა მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებაში შინ. საქ. მინისტრი, რომ ოს-მცხოვრებთა კულტურულ განვითარებისათვის და ადგილობრივად ცხოვრების მოსაწესრიგებლათ საჭიროა საქარ. დემოკრატ. რესპუბლიკაში ამ ერისათვის ფართე თვით-მართველობის მინიჭება. მხოლოდ ამ ფრიად მნიშვნელოვან რეფორმის ცხოვრებაში გატარება შეუძლებელი იყო აქამდე სხვა და სხვა პოლიტიკურ ეკონომიურ პირობებისა და უმთავრესად ადგილობრივად მოუწყობლობის გამო“.

სამინისტროს პროექტით, ოსთა მიერ დასახლებულ ტერიტორიისაგან, რომელიც უნდა შემდგარიყო სხვა და სხვა მაზრის სოფლის საზოგადოებების და სოფლების შეერთებით, უნდა დაარსებულიყო სრულიად ახალი მაზრა ე. წ. ჯავის მაზრა, სამაზრო ადმინისტრაციულ დაწესებულებებით.

*) იხ. „მოამბე“ № 19.

ამ მაზრის შემადგენლობაში უნდა შესულიყო სახელდობრ: ა) რაქის მაზრიდან ჩასავალის სოფლის საზოგადოება; ბ) შორაპნის მაზრიდან ჩიხის საზოგადოების სოფლები—თედელეთი, ჯულაბეთი და ხახეთი; გ) გორის მაზრიდან სამთა-ოსეთის რაიონის—როყის, ყემულთის და ჯავის საზოგადოებანი და ცხინვალის რაიონის—ორტევის, ყორნისის და წუნარის სოფლის საზოგადოებები.

ზემოაღნიშნულ საზოგადოებებს ან ცალკე სოფლებს უნდა მისცემოდა უფლება ამ ახალ მაზრიდან გამოყოფის შესახებ შუამდგომლობის აღძვრისა, ხოლო მოსაზღვრე სოფლის საზოგადოებებს თუ ცალკე სოფლებს ასეთივე უფლება მომავალ მაზრაში ჩარიცხვისა. ეს ჩარიცხვა და გამოყოფა უნდა მომხდარიყო ერთი პირობის დაცვით—ამ შუამდგომლობათა დამაყოფილებით ტერიტორიის მთლიანობა დარღვეული არ უნდა ყოფილიყო. შესვლა-გამოსვლის უფლება წინადადებული იყო პროექტით იმიტომ, რომ მრავალი მცირე პუნქტია სადავო ოსთა და ქართველთა შორის, რაც საქიროთ ხდიდა კორექტივის შეტანას მომავალი მაზრის ფარგლებში, თუ რომელიმე დაინტერესებული მხარე, რომელიმე კუთხის მოსახლეობა არ მოიხურებდა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში დარჩენას.

განზრახულ მაზრის ადმინისტრაციული ცენტრის საკითხი საქარ. რესპუბლიკის საკანონმდებლო დაწესებულებას უნდა გადაეწყვიტა, საერობო ყრილობის წარდგენით, ხოლო დროებით ასეთ ცენტრათ სოფ. ჯავა იყო გამოცხადებული.

აი ამ ახალ მაზრაში ე. ი. იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომლის შემადგენლობა ზემოთ აღვნიშნეთ უნდა შემოღებულიყო ერთი საზაზრო და რამდენიმე წვრილი საერობო დაწესებულებანი, უნდა დაწესებულიყო მაზრის ადმინისტრაცია და მილიცია ისე, როგორც ეს რესპუბლიკის სხვა მაზრებში იყო. საზაზრო ერობის ხმოსანთა რიცხვი პროექტით განსაზღვრული იყო 25 ხმოსანით, ვინაიდან მომავალი მაზრის მცხოვრებთა რიცხვი, შედარებით სხვა მაზრებთან, გაცილებით ნაკლები იყო (რიცხვი 25 იმ დროს მოქმედებულებით, ხმოსანთა რიცხვის მინიმუმით იყო აღებული ყოველ მაზრისათვის).

ამ ოსთათვის განზრახულ ახალ მაზრას ენიჭებოდა ენის მხრივ ისეთივე უფლება, რომლითაც ჩვეულებრივ ავტონომიურათ მოწყობილი ტერიტორიები სარგებლობენ, სახელდობრ: ადმინისტრაციულ, სასამართლო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს ჯავის მაზრის ფარგლებში ეძლეოდა უფლება საქმის წარმოებისა, ლაპარაკისა ოსურ ენაზე, აგრეთვე სკოლებში სწავლება შეიძლებოდა ამავე ენაზე. ხოლო რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობას, აქ ამ ტერიტორიაზე მუდმივ მცხოვრებთ ნება ეძლეოდათ შეეტანათ ყველგან თხოვნები და განცხადებები და ესწავლებინათ სკოლებში თავის მშობლიურ ენაზე. სახელმწიფო დაწე-

სებულებებთან და მთავრობის ორგანოებთან კი მაზრის ყველა ადმინისტრაციულ, სასამართლო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს მხოლოდ სახელმწიფო ენაზე უნდა ეწარმოებიათ საქმეები.

პროექტს ოსთა დელეგაცია გამოეხმაურა. მათ საერობო თვითმართელობა არ აკმაყოფილებდა, მაგრამ დროებით ამას ურიგდებოდნენ და შეიტანეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი კორექტივები შინ. საქ. სამინისტროს პროექტში. იმათ განაცხადეს: ა) ადმინისტრაციული ცენტრის დაწესება, ეს ადგილობრივი საერობო კრების საქმე უნდა იყოს და არა სრულიად საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებისათ. ეს შესწორება ადვილათ გასაგებია: ასეთ ცენტრათ მათ იმ დროსაც ს. ცხინვალი მიაჩნდათ, რის დადასტურების იმედი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ მათ არ ჰქონდათ; ბ) მათ მიერ დასახელებული სოფლის საზოგადოებანი ოსურ მოსახლეობით უდავო ტერიტორიათ უნდა იყოს გამოცხადებული; გ) წესი საზოგადოებაში ჩარიცხვისა თუ საზოგადოებიდან გამოყოფისა გამარტივებული უნდა იყოს. შინ. საქ. სამინ. პროექტით უნდა შედგენილიყო ფილიყო განაჩენები; შემდეგ, ამ განაჩენების თანახმად შუამდგომლობა უნდა აღედგა, შინ. საქ. მინისტრის საშუალებით, საკანონმდებლო დაწესებულების წინაშე. აი, აქაც მინისტრი და საკანონმდებლო დაწესებულება ოსთა რწმუნებულებს ასეთ შუამდგომლობისათვის მეტათ მიაჩნდათ; დ) თვითმართველ ახალ ერთეულს სახელწოდება „ოსური“ მიეკუთვნოს და ე) სკოლებში ენის ხმარების საკითხი წინააღმდეგ განსაზღვრული ნუ იქნება, ეს თვით ხალხის საქმეა...

ამ განცხადებას ისინი ასე ასახულებდნენ სიტყვიერათ: სკოლებში სწავლა ოსურ ენაზე კი არა, შეიძლება რუსულზე შემოვიღოთ. ყოველივე ეს შინ. საქ. სამინისტროს დეკრეტის პროექტითურთ მოხსენდა მთავრობას იმავე 1919 წლის ივლისის თვეში, რომელმაც ეს პროექტი გადასცა საუწყებათა შორის კომისიას განსახილველათ.

კომისია შედგა იუსტიციის სამინისტროსთან და დაუყონებლივ შეუდგა მუშაობას.

(შემდეგი იქნება).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებებიდან. *)

საბჭოთა ხელის უფლების გამოცხადებამ საქართველოში ძირითადი გარდატეხა მოახდინა საქართველოს, როგორც სოციალურ-ეკონომიურ ისე პოლიტიკურ წესწყობილებაში. თუ წინად,

*) ამოწერილია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გრცელი მოხსენებიდან, რომელიც ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნაკათ გამოვა.

უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში, ძველი ხელისუფლება თავისი წესწყობილების განსამტკიცებლად დამხმარე ძალებს უმთავრესად ბურჟუაზიულ დახვედრეთ ევროპიდან ელვდა, ამიერიდან საქართველო მჭირდოდ დაუკავშირდა საბჭოთა სოციალისტურს რუსეთს და დღეს დღეობით მხოლოდ იქიდან უნდა მოველოდეთ ამ ძალების და რესურსების მიღებას, რომლის შექმნასაც პირველ ხანებში ვერ შეძლებს სამშობლო ნიადაგი. ის ახალი სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება, რომელსაც მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა რუსეთის უკანასკნელი წლების ისტორიამ და რომელიც თავის სახელმძღვანელო გეზად მიიჩნია საქართველომაც, მოითხოვს ძირიან გარდაქმნას საქართველოს წინანდელ სოციალ-პოლიტიკურ სტრუქტურისას და ამისათვის ამოძრავებული უნდა იქმნას საქართველოს ყველა ძალები, რომლის გამოყენებაც კი შეიძლება. უნდა აღინიშნოს, რომ მას ასეთი ძალები ბლომად აღმოჩნდა, როგორც მუშა-გლეხობაში, ისე მრავალრიცხოვან ინტელიგენტთა წრეებში, რაც ძლიერ აღრე თვით ბრძოლის პროცესშივე გამოაშკარავდა.

თებერვალში გამართულ ბრძოლის პროცესში უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ მომენტად უნდა ჩათვალოს 25 თებერვალი — დღე, როდესაც რესპუბლიკის მთავარ ქალაქში, თბილისში, საბჭოთა ხელისუფლება იქმნა აღიარებული. აქ მოგროვილი იყო უმთავრესი, როგორც მატერიალური, ისე ორგანიზაციული ძალები საბჭოთა წესწყობილების მოწინააღმდეგეებისა, რომელთაც უკვე ცხადათ დაეტყუთ რომ მათ საქართველოში სასიცოცხლო პირი აღარ გააჩნდათ; და, თუმცა მათი წინააღმდეგობა თითქმის ერთ თვეს კიდევ გაგრძელდა, მაგრამ ჩვენ 25 თებერვალსავე შეგვეძლო ჩქარის ტემპით შევდგომოდით საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას. საამისოდ თბილისი შედარებით დიდ შესაძლებლობას და მასალას გვაძლევდა, რადგან მიუხედავად ფართოდ გატარებული ფეაქუაციისა თბილისში მაინც საკმაოდ იყო დარჩენილი დამხმარე ინტელიგენტური ძალები და ხელისუფლების აპარატები, რომელთა გამოყენება აუცილებელი იყო პირველ ხანებში.

ესეც არ იყოს, თბილისი ყოველთვის ისეთი ცენტრი იყო, რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეს მაგალითს აძლევდა და მიუთითებდა სწორი გზისაკენ. ეს მნიშვნელობა უფრო გიზარდა უკანასკნელ ხანებში, როდესაც თბილისში თავი მოიყარა რესპუბლიკის მნიშვნელობის მასშტაბის ყოველმა პოლიტიკურმა, ეკონომიურმა და კულტურულმა დაწესებულებამ. წამგარივე უპირველესი მნიშვნელობა მიეცა თბილისს, საბჭოთა წესწყობილების დამყარების შემდეგაც, რადგან საბჭოთა საქართველოს ყველა ცენტრალური და ხელმძღვანელი ორგანო თბილისის დაქერის პირველ ხანებშივე ჩამოყალიბდა; და როდესაც, საქართველო მთლიანად იქმნა გაერთიანებული საბჭოთა დრო-

შის ქვეშ, ადგილობრივმა ძალებმა მაშინვე მიიღეს აქედან საბჭოთა აღმშენებლობისათვის საჭირო სახელმძღვანელო დებულებანი.

მოეწყო საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოები ძველი ხელისუფლების ორგანოების ნანგრევებზე. თბილისში საბჭოთა საქართველოს ძალა უფლების აღიარების პირველ დღეებშივე აღმოჩნდა, რომ ძველ ხელისუფლებას, თითქმის სრულიად გაეზიდა და გაეტანა თბილისიდან თავისი ყველა ცენტრალური დაწესებულების საქმეები და გაეზიზნა დაწესებულებათა პირადი შემადგენლობის უმეტესობაც. ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად, შესამჩნევ გამოჩანკლისს არც ერთი უწყება არ შეადგენდა და ამიტომ პირველ დღეებშივე საჭირო შეიქმნა ყველა ცენტრალური კომისარიატების ყოველმხრივი ორგანიზაცია და პირადი შემადგენლობის შერჩევა. ზემოდ უკვე იყო მოხსენებული, რომ ეს ორგანიზაცია ხდებოდა ძველი ხელისუფლების ორგანოების ნაშთებზე, და როდესაც ჩაუკვირდებოდით მას, თუ რა დავგრა ძველი ხელისუფლების მემკვიდრეობიდან, აღმოჩნდება, რომ შედარებით კარგათ გაწყობილ ბინებისა და თითო-ორიოლა მოხელის მეტი არაფერი არ იყო. საჭირო იყო მთელი აპარატის ხელ-ახალი შექმნა.

ამ საერთო ხედარს არც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ასცდენია, თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ხელისუფლების მუშაობიდან არც არაფრით შეგვეძლო სარგებლობა, რადგან საბჭოთა მართვლობის სისტემა სრული უარყოფა ყველა იმისი, რაც მანამდე კეთდებოდა საქართველოში. საბჭოთა ხელისუფლების იდეით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაკისრებული აქვს: რესპუბლიკის ტერიტორიაზე რევოლუციონური წესრიგის დაცვა, ბოროტ-მოქმედებასთან საწინააღმდეგო ზომების მიღება, პოლიტიკური ხელმძღვანელობა ადგილობრივ საქალაქო, სამაზრო სარაიონო და სათემო რევკომების მუშაობისა და მისი კონტროლი. გარდა ამისა მანვე უნდა გამართოს რესპუბლიკის აღმინისტრაციული მართვლობა და აგრეთვე მოახდინოს აღმინისტრაციული გადამიჯენა სამაზრო, სარაიონო და თემთა რევკომების ხელისუფლების საზღვრებისა — მათი სწორი შემოფარგვლით. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატსავე ეკუთვნის სისტემატიურად გატარება ცხოვრებაში საქართველოს რევოლუციონური კომიტეტის ყველა დეკრეტისა და დადგენილების და აგრეთვე თვალყურის დევნება, რომ საბჭოთა ხელისუფლების ყველა დეკრეტი და განკარგულება სისწოლით იქმნას დაცული როგორც მცხოვრებთა, ისე თვით კომისარიატის ორგანოებისა და მათი წევრებისაგან. მხოლოდ მშრალი ჩამოთვლა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უმთავრეს მიზნებისა ნათლად გვიჩვენებს თუ რაოდენ რთული და მრავალ მხრივია მისი მუშაობის ფარგლები და როდესაც საჭირო შეიქმნა მისი პრაქტიკული განხორციელება, ცხადი გახდა რომ საბ-

ქოთა აღმშენებლობის მთელი შინაგანი პოლიტიკის ერთად გადაშლა და ცხოვრებაში გატარება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა და საჭიროდ ხდებოდა მისი ერთგვარი თანდათანობით გამომზეულება და განხორციელება, რათა მიზნების სირთულეს და სიმრავლეს თავშივე არ დაეშალა ორგანიზაციული უნარი და სრულიად არ გაექარწყლებინა ორგანიზაციული ენერგია პირველ ხანებში შემოკრებილ მცირე ძალებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციაც ასეთ თანდათანობით პრინციპის განხორციელებას წარმოადგენს. როდესაც თბილისის დაქვერის პირველ დღეებში გამოიჩინა, რომ ძველი მთავრობის სახელმწიფოებრივი აპარატი სრულიად დაშლილი და დასავლეთ საქართველოშია გადატანილი, მაშინ, რასაკვირელია, უპირველესი ყურადღება კომისარიატის ცენტრალურ ორგანოს შექმნას მიექცა. ასეთ მოქმედებას გვიკარნახებდა თვით პროცესი საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში, რომელიც, როგორც, ვიცით, ჯერ ცენტრის — თფილისის დაქვერით დაიწყო და მხოლოდ შემდეგ შემოგვიერთდა დიდი ნაწილი რესპუბლიკის ტერიტორიისა. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ საბჭოთა ძალა-უფლების აღმოცენება ადგილებზე არასოდეს არ უცდის ცენტრის კარნახს, არამედ დროისა და შექმნილ გარემოების მიხედვით ჩვეულებრივად, იგი თვით აღმოცენდება ხოლმე.

ასე მოხდა საქართველოს ყველა პროვინციებშიაც. იქ სადაც გამოჩნდებოდა წითელი ჯარის ნაწილები უკვე თავის თავად ჩნდებოდა ადგილობრივი საბჭოთა რევოლუციონური ორგანოები; ცხადია რომ ნიადაგი წინდაწინ იყო შემზადებული ადგილობრივ საზოგადოების კომუნისტურად განწყობილ ნაწილისაგან და როდესაც წითელი ჯარის სახით მოველინებოდით მაგარი სტიმული თვისი მიზნების განსახორციელებლათ, ადგილობრივი ძალები აღარ უცდიდნენ ცენტრის არავითარ დარეგულირებას და თვით აცხადებდნენ ძალა-უფლების გამარჯვებას და მის ხელისუფლების შესაქმნელად ადგილობრივ რევოლუციონურ კომიტეტების დაარსებას. სხვა საკითხია თუ რევოლუციონურ კომიტეტების შემადგენლობის პირადი შერჩევა რამდენად მიზანშეწონილად ხდებოდა. ამაზედ ქვემოთ გვექნება საუბარი: აქ მხოლოდ გვინტერესებს თვით პროცესი საბჭოთა ძალა-უფლების დამკვიდრებისა საქართველოში. ეს პროცესი იმ გვარად ჩატარდა, რომ ყველგან ცენტრის ძალდაუტანებელი აღმოცენდა საბჭოთა ორგანოები. პირველ შემთხვევით ეს უმნიშვნელო და თუ გნებავთ, მარტივი, გარემოება ნამდვილად ფრიად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, რადგანაც საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების ხანს საქართველო ასცდა, ჩვეულებრივად გადაქცეულ და ხანგრძლივ გამანადგურებელ სა-

მოქალაქო ომს. ორ მოწინააღმდეგე ბანაკის შორის გამართულ ბრძოლის პროცესში საქართველოს მცხოვრებლებმა და განსაკუთრებით ქართველმა ხალხმა საკმაო ლოიალური განწყობილებები გამოიჩინა საბჭოთა ძალა-უფლებისადმი და მიუხედავად იმისა, რომ მენშევიკები უხვად და უსივრცეოდ ავრცელებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ადგილობრივი მცხოვრებლები მაინც კეთილ განწყობილად — შეხედნენ პოლიტიკური მართველობის მოსალოდნელ ცვლილებას. ამით ჩვენ არ გვინდა ხაზი გაუსვათ თითქოს საქართველოში არ ყოფილიყო საბჭოთა ძალა-უფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები; სრულიადაც არა, ისინი იყვნენ და ახლაც მრავლად მოიძებნებიან, მაგრამ ჯათ რაკი დაინახეს, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამცველთა წინააღმდეგ ისინი მეტად უძლურნი გამოდგნენ, ბევრმა მათგანმა არჩია საზღვარ გარეთ გახიზნა მენშევიკების მთავრობასთან ერთად, მით უმეტეს, რომ მატერიალურად ისინი უზრუნველყო მენშევიკების მთავრობამ, რომელმაც, მისათვის, როგორც ვიცით, საკმაო განძეულობა გაზიდა ჩვენს სახელმწიფო საღაროდან; უმრავლესობა კი გამოერკვა პროვოკაციულ ბურჟუაზიან და უნიადაგო პარტიზანულ ომს მშვიდობიანი ცხოვრება არჩია საკუთარ კარმიდამოში ან და საბჭოთა დაწესებულებებში. აღნიშნული გარემოება ძლიერ აადვილებდა ადგილობრივ განწყობილ მცხოვრებთა მიზნების განხორციელებას და იმათაც ყველგან შედარებით დამაკმაყოფილებლად ისარგებლეს ამ გარემოებით და ყველგან თითქმის თითო-ორიოლა დღის განმავლობაში გაჩნდნენ ხელისუფლების ორგანოები. აქედან სჩანს რომ საქართველოს, ამ პერიოდში არ განუცდია, ასე ვსთქვათ, „უმთავრობობა“, ხელისუფლების არ ყოლა, რამაც ძლიერ შეუწყო ხელი ბოროტმოქმედებათა შედარებით სისუსტეს. გადაჭრით შეიძლება ითქვას რომ მართველობის და ხელისუფლების შეცვლის ხანაში ძნელად მოიძებნება ისეთი მაგალითი, სხვა და სხვა სახის ბოროტ-მოქმედებათა სისუსტისა, როგორიც იყო საქართველოში საბჭოთა ძალა-უფლების დამკვიდრების დროს. აქაც უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ საქართველოს ტერიტორიას არ მოსწრებია ხელისუფლების ორგანოთა არ ყოლა და მაშასადამე ამ მხრივაც დიდი ღვაწლი მიუძღვისთ საბჭოთა ძალა-უფლების ადგილობრივ ძალების ინიციატივით აღმოცენებულ ორგანოებს და რევოლუციონურ კომიტეტებს, რომლებმაც გარდა პოლიტიკური ხასიათის მუშაობის წარმოებისა, პირველ ხანებშივე საკმაო ძალა შემოიკრიბეს სხვა და სხვა სახის ბოროტ-განზრახვებთა ასალაგმავად.

(შემდეგი იქნება)

იძულებითი სამუშაოს მთავარი სა- მართველო და მისი მოღვაწეობა.

იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო არსებობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან თანახმად იმავე კომისარიატის 1921 წლის 7 ივნისის დებულებისა. ხსენებული სამმართველო თავისი სტრუქტურით, წააშობადგენს სრულს ანალოგიას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოსას, რომელიც, იმავე რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებობს და განაგებს მთელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე იძულებითი მუშაობის ყველა ბანაკებს.

იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს მიზნად აქვს: 1) მოაწესრიგოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში პატიმართა იძულებითი მუშაობა, 2) იძულებითი მუშაობა — მისჯილი პატიმარნი ჩააყენოს ისეთ პირობებში, რომლის მეოხებით ისინი იძულებული იქნებიან გასწიონ განუწყვეტელი ინტენსიური შრომა, თავიანთი სპეციალობის დამხედვით, იმ ანგარიშით, რომ ასეთმა შრომის ნაყოფმა დააკმაყოფილოს იძულებითი მუშაობის ადმინისტრაცია, 3) მისცეს პატიმართ შრომის ეკვივალენტი, რათა სასჯელის მოხდისათანავე მათ დამოუკიდებელი ცხოვრების საშუალება ჰქონდეთ, 4) შეუზარაქუნოს მათ ჯანმრთელობა, 5) განახორციელოს პატიმართა ზეგობრივი გასწორების იდეა და 6) საელოწიფოს მისცეს სარგებლობა პატიმართა მუშაობის ნაყოფის სახით.

პატიმართა იძულებითი მუშაობის მოწესრიგების იდეა იმდენად ძველი, საფუძვლიანი და ბუნებრივია, რომ როგორც იმპერიალისტურ რუსეთში, ისე მენშევიკურ საქართველოში ტენდენცია არსებობდა ამ იდეის განხორციელებისა, მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზებისა გამო, ეს ასე არ მოხდა. მაგალითად, როგორც რუსეთში, ისე საქართველოშიაც, კომუნისტური წყობილების დამყარებამდე, საბატონოებში არსებობდა სხვა და სხვა სახელოსნოები, როგორც ანის სადურგლო, ტახტ და ფეხთსაცმელების სამკერვალოები, სახეინკლო და სხვა, რომელშიაც მხოლოდ რამოდენიმე პატიმარი მუშაობდა და ისიც თავის ნებაყოფლობით და არა იძულებით. ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, სრულიად არ აკმაყოფილებდა ბუნებრივ და მიზანშეწონილ მოთხოვნილებას პატიმართა შრომის გამოყენებისას. საქართველოს საბჭოთა მთავრობამ, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა დიდი მნიშვნელობა პატიმართა იძულებითი მუშაობის მოწყობა-მოწესრიგებისა, თავიდაც მიიღო ზომები და საბჭოთა რუსეთის გიმოცდილების მიხედვით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან, დაარსა ეგრედ წოდებული იძულებითი სამუშაოს მთავარი სამმართველო.

დებულების ძალით იძულებითი სამუშაოს

მთავარ სამართველოს მიენიჭა ფრიად მნიშვნელოვანი და დამოუკიდებელი უფლებები — ხელმძღვანელობა ყველა ადგილობრივ დაწესებულებებში შრომის, მეღებრისა, რომელთაც დაკისრებულნი იქნა მუშაობა, იძულებითი მუშაობის მოწყობა, გადაწყვეტა ყველა იმ პრინციპიან საკითხებისა, რომლებიც შეეხება სამართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციას, პატიმართა ბანაკებში განაწილება, მათი ერთი ბანაკიდან მეორე ბანაკში გადაყვანა, მათთვის კერძო ბინაზე ცხოვრების უფლების მიცემა, სასჯელის ვადის შემოკლება, ვადამდის სასჯელისაგან განთავისუფლება და სხვა.

დებულების თანახმად იძულებითი სამუშაოს მთავარ სამართველოს განაგებს უფროსი, რომელსაც ნიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

მთავარი სამართველო შესდგება სამი განყოფილებიდან: 1) ადმინისტრაციული, 2) საწარმოო-ტექნიკური და 3) სამეურნეო. მასთან არსებობს იძულებითი სამუშაოს ბიურო — იძულებითი მუშაობის მოსაწყობად იმ პატიმართათვის, რომლებსაც სასამართლო და ადმინისტრაციული ორგანოები იძულებითი მუშაობას მიუხედავად თავისუფლების აღუკვეცლად. მაზრებში ყველა სამაზრო რეგკომებთან, უნდა არსებობდეს მაზრების იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებანი და ბიურო.

თვისი არსებობის პირველი დღიდანვე იძულებითი სამუშაოს მთავარი სამართველო აწარმოებს ორგანიზაციულ მუშაობას. მან მოაწყო სამი განყოფილება. ადმინისტრაციული, სამეურნეო და ტექნიკური, ბიურო, საერთო კანცელარია და საქმეთა მმართველობა. მოახდინა სათანადო განკარგულება, რესპუბლიკის ყველა სამაზრო რეგკომებთან იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებათა და ბანაკების დასაარსებლად. მიღებულ ზომების შემდეგ ჯერ-ჯერობით დაარსდა ქვე-განყოფილებანი და ბანაკები ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, გორში და დუშეთში. ბათუმის ქვე-განყოფილება და ბანაკი, იქ სააღყო წესების გამოცხადების გამო, მთავარ სამართველოს განკარგულებით დროებით მოიხსნა.

იძულებითი სამუშაოს მთავარმა სამართველომ შეიმუშავა დღემდის ზოგიერთი საჭირო დებულებანი, ინსტრუქციები და წესები და სახელმძღვანელოდ დაუგზავნა იძულებითი სამუშაოს სამაზრო ქვე-განყოფილებებს. ამასთანავე მან განიხილა რესპუბლიკის სხვა და სხვა დაწესებულებათა შუამდგომლობა იძულებითი მუშაობა მისჯილ პატიმართა მათ განკარგულებაში მივლინების შესახებ, შეკრიბა ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭირო ცნობები, მიიღო სათანადო გარანტია პატიმართა პიროვნების უზრუნველყოფლობის შესახებ და 89 პატიმარი წარავლინა სათანადო დაწესებულებებში იძულებითი მუშაობისთვის იმ ანგარიშით, რომ თავისუფალი რვა საათის სამუშაო დღის შემდეგ ისინი იმყოფებოდნენ გამასწორებელ სახლში თავისუფლების აღკვეცით.

მთავარმა სამმართველომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ტფილისში იძულებითი სამუშაოს ცენტრალური ბანაკის დაარსებას. მიუხედავად იმ ენერგიისა, რომელიც გასწია მან თავიდან ამ საკითხის მოსაწესრიგებლად, სამწუხაროდ, შესაფერი შენობის უქონლობის გამო, მხოლოდ ა. წ. 4 ოქტომბერს საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დაზვენილების ძალით სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს განკარგულებაში გადმოვიდა ყოფილი ავქალის მცირე წლოვანთა ახალშენი, სადაც მთავარ სამმართველოს მიერ მიღებულია ზომები ბანაკის მოწყობისათვის. ეს არის მიზეზი იმისა, რომ მთელ კადრს (არა ნაკლები 500—600 კაცისა) იძულებითი მუშაობა მისჯილ პატიმართ, რომელნიც იმყოფებიან თბილისის I და II გამასწორებელ სახლებში, ჯერ კიდევ არა აქვთ მიჩენილი სათანადო მუშაობა.

მთავარი სამმართველო განსაკუთრებულ მუშაობას ეწევა იძულებითი მუშაობის ძირითადი დებულების შესწორების საკითხის გადასატრეოდ. ეს დებულება მოითხოვს ძირითად გადასინჯვას და შემუშავებას. ამ მიზნით მთავარ სამმართველოში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელიც უკვე შეუდგა თავის მუშაობას.

მთავარ სამმართველოს მიერ შეკრებული სტატისტიკური ცნობებიდანაა სჩანს, რომ ჯერჯერობით იძულებითი მუშაობა მისჯილ პატიმართა ქრადენობა საშუალო რიცხვით თვითნებულ მაზრაში არ აღემატება 20 პატიმარს. გამონაკლისს შეადგენს გორი, სადაც დღეს ითვლება 50 იძულებითი მუშაობა მისჯილი პატიმარი. ბათუმში იმყოფება 80, ქუთაისში 160 და თბილისში არა ნაკლები 500 პატიმრისა. პატიმართა რაოდენობისა და საზოგადო ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით მთავარმა სამმართველომ განიზრახა მოხსნას ყველა სამაზრო ქვე-განყოფილებანი და ბანაკები, გარდა ქუთაისისა და გორისა ამაირად ბანაკები არსებობს შემდეგ ქალაქებში: 1) თბილისში — ცენტრალური ბანაკი, რომელიც დაექვემდებარება იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს, 2) ბათუმში — საოლქო ბანაკი, რომელიც დაექვემდებარება რევკომის იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებას. 3) ქუთაისში და 4) გორში, სადაც ბანაკები დაექვემდებარებიან ადგილობრივ რევკომების იძულებითი სამუშაოს ქვე-განყოფილებებს. დანარჩენი მაზრებიდან იძულებითი მუშაობა მისჯილი პატიმრები, საჭიროებისამებრ, თანახმად მთავარ სამმართველოს განკარგულებისა, სამუშაოდ განაწილებულ იქნებიან არსებული ბანაკების საშუალებით.

ამაირად, სანამ საჭიროება არ მოითხოვს ქვე-განყოფილებათა და ბანაკების ყველა მაზრებში დაარსებას, — მიზანშეწონილი იქნება, რომ ბანაკები არსებობდნენ მხოლოდ ზემოაღნიშნულ ქალაქებში, რაც სახელმწიფოს ააცილებს ზედმეტს და უნაყოფო ხარჯებს.

გარდა ამისა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იძულებითი სამუშაოს მთავარ სამმართველოს საქმეებში ხშირად ერევიან სხვა კომისიებიც, ეს აბრკოლებს მუშაობას და შეაქვს არეულობა მის მიმდინარეობაში. სასურველია, რომ ასეთი მდგომარეობა თავის დროზე მიექცეს ყურადღება, მაშინ იძულებითი სამუშაოს საქმე სასურველ ნიადაგზე დადგება და საბოლოოდ მოგვარდება საბჭოთა ზელისუფლების ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი.

ს. ჯორბენაძე.

კომუნალური მეურნეობა

საბჭოთა რესპუბლიკის საიდუმნებლო მოღვაწეობისათვის პოლიტიკურ შემოქმედებასთან ერთად უაღრესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო სისტემის ძირითად გარდაქმნასაც.

ასეთი შეზღუდულება სადღეისო ამოცანათ არის დასახული და სწორედ აქვთ არის მიმართული მუშურ-გლეხური სახელმწიფო მოღვაწეთა მთელი შრომა და მეცადინობა. სახელმწიფო მეურნეობა ამავე სახელმწიფოს ციფერბლატია და ამ ციფერბლატის მიხედვით განიზომება ზელისუფლების ძაბარებელ მასების სოციალ-პოლიტიკური შემოქმედება.

მეურნეობის სისტემა საფუძველია ამა თუ იმ პოლიტიკურ რეჟიმის განსამტკიცებლად. წარმოების კაპიტალისტური სისტემა ჰქმნიდა მეურნეობის ისეთ ფორმას, რომლის წყალობით ყოველგვარ სიმდიდრეს შემქმნელი მშრომელი მასსა წარმოადგენდა მხოლოდ საწარმოო იარაღს და იყო უბრალო ობიექტი უსაზღვრო ექსპლოატაციისა. ასეთს პირობებში ცხადია, მეურნეობა სცდებოდა თავის პირდაპირ მიზანს, ხალხის ეკონომიური აღორძინებას და იყო პირდაპირი გზა კაპიტალიზმის ზრდისა და განმტკიცებისათვის.

რუსეთის პროლეტარულმა რევოლუციამ აღვირი ამოსდო კაპიტალიზმს, ძირიანად ამოფხვრა მეურნეობის დახვეწებული ფორმა და დაიწყო სულ ახალი სახელმწიფო წყობილების ჩამოყალიბება. საბჭოთა ზელისუფლებამ გამოიყვანა სახალხო მეურნეობა იმ გზაზე, სადაც ყოველი დაკრული ჩაქუჩი ხალხის საქმეს უნდა აკეთებდეს და ხალხის ოფლითა და შრომით მონაგარი დოვლათი მშრომელ კლასსა და მის სახელმწიფოს კეთილდღეობას უნდა ხმარდებოდეს. ეს სისტემა პირდაპირი გზაა საბჭოთა საქართველოს მეურნეობის ახალ საფეხურისაკენ. საქართველოში არსებულ სხვა და სხვა სამეურნეო ორგანიზაციების, მეურნეობის ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან შეთანხმება, მათი ფუნქციების სასტიკი განსაზღვრა და განაწილება, ყველა სამეურნეო ცოცხალ ძალთა მჭიდრო შეკავშირება — ყველა სამეურნეო ცოცხალ ძალთა მჭიდრო შეკავშირება გაჯანსაღება, განაწილება, და მა-

თი ამოძრავება, აი ის გადაუდებელი საქმე, რომლების მოგვარებას მოითხოვს ჩვენგან მიმდინარე მომენტით. და სწორედ ამისათვისაა საქირო ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მოქმედების გადამინჯვა, მათი მუშაობის საბჭოთა ხელისუფლების საერთო მიზანთან შეფარდება.

ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია თავიანთი არის რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის ორგანიზაცია. ის ისეთი ორგანიზაციაა, რომლის გამგებლობაშიც გადადის ქალაქის მეურნეობის განსაკუთრებული დარგი, რომელთაც წინადადებულა ზემოქმედებდნენ ძველი ერობები და ქალაქის თვითმართველობები. ამ დარგში შედის მთელი რიგი ეკონომიური, სამეურნეო და ტექნიკური საქმეებისა როგორც მაგ. ქალაქების გამშენიერება, მცხოვრებთა მომარაგება სურსათ სანოვანით, ცეცხლისგან დაცვის საქმე, საადგილმამულო პოლიტიკისა, ტრავაი და მიმოსვლის სხვა საშუალებანი, განათება და სხვა. ყველა ზემოაღნიშნული დარგები და აქედან გამომდინარე საკითხები პირდაპირ განხორციელებასა პპოვებენ კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციათა საშუალებით. სწორედ ამიტომ კომუნალურ საქმეების ჯეროვანათ დაყენება უდიდეს საკითხს წარმოადგენს. კომუნალურ განყოფილებათა საერთო მოქმედება სახსრებით უნდა შეფარდებულ იქნას საბჭოთა სახელმწიფოს საღმრწნებლო გეგმასთან.

კომუნალური მეურნეობის ასეთი ორგანიზაცია თავისთავად საზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების დაყოფას, „სახელმწიფო და ადგილობრივის“ პრინციპებით და მთელი საქალაქო-სამეურნეო დარგი შედის პირდაპირ რესპუბლიკის საღმრწნებლო მოღვაწეობის სფეროში.

ყველა ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგ ჩვენთვის აშკარაა თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციის მტკიცე აპარატის ჩამოყალიბება და საამისოდ გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები.

პირველი ნაბიჯი ამ მიზნის მისაღწევად უკვე გადასდგა კომუნალური მეურნეობის მთავარმა სამმართველომ, რომლის ხელმძღვანელობით სექტემბრის 23-ს ტფილისში მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს კომუნალურ განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც დეტალურად გააშუქა ხსენებული ორგანიზაციის საკითხი და მომავალი მუშაობის გეგმაც გამოიმუშავა.

ამ ყრილობაზედ გამოტანილი რეზოლიუციები დიდი ყურადღების ღირსია და მათი ჯეროვანად განხორციელება დიდ ნაყოფს გამოიღებს ჩვენს ჩამოქვეითებულ მეურნეობის გაჯანსაღებისა და წარმატების საქმეში.

სრულიად საქართველოს კომუნალური განყოფილებათა გაგვირგნინების პირველი ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა ტფილისში, 23 სექტემბერს კომუნალური მეურნეობის მთავარ სამართველოს გამგის აბხ. სიღამონიშვილის თავმჯდომარეობით, რომელმაც ვრცელი მოხსენება გააკეთა კომუნალური მეურნეობის უფლება-ვალდებულების შესახებ. მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები დასაბუთებულია პრაქტიკულ მაგალითებზე მითითებით და გარკვეული და გაშუქებულია ის გეზი და კომპეტენცია, რომელიც შეიცავს კომუნალური მეურნეობის დედა-აზრს.

უკანასკნელი გადატრიალება, — აღნიშნა მომხსენებელმა და ძალა-უფლების მოპოვება საქართველოს მშრომელ მუშებისა და გლეხების მიერ სრულიად არ ნიშნავს განსაკუთრებით პოლიტიკურ ახალ ხელისუფლების გამოცხადებას, პირიქით ეს მხოლოდ საშუალებაა, რომელმაც უნდა ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში დღემდე არსებულ ეკონომიურ, სამეურნეო და უფლებრივ სტრუქტურის ძირიანად შეცვლა-განმტკიცებას. საქართველოს პროლეტარიატი უნდა გახდეს ფაქტორად, რომელმაც უნდა გამოსწავლოს ახალი სახელმწიფოებრივი ფორმები. ფორმა სახელმწიფოებრივ წესწყობილებისა, რის საშუალებითაც საქართველოს პროლეტარიატი ანხორციელებს თავის ნებისყოფას, არის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, ეს ფორმა გულისხმობს ყოფილ დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სისტემის ძირიან-ფესვიანად შეცვლა-გარდაქმნას, მის სამეურნეო და პოლიტიკურ თვალსაზრისით სოციალისტურ საფუძველზე.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ძველ სახელმწიფო სისტემის წყალობით არსებობდა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დაყოფა ეგრედ წოდებულ „სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ პრინციპებით“.

საბჭოთა სისტემა არ სცნობს ამნაირ ძალთა დაქსაქსვას და იგი კომ. მეურნეობის სისტემის მიხედვით ძველს ქალაქთა და ერობათა ორგანიზაციებს უქვემდებარებს ცენტრალურ ხელისუფლების ორგანოებს და ამრიგად ხელს უწყობს ერთიან სახელმწიფო სისტემის ჩამოყალიბებას.

შესდეგ მომხსენებელი დაწვრილებით ეხება კომუნალურ განყოფილებათა და სახალხო მეურნეობის საბჭოს კომპეტენციებს და აღნიშნავს, რომ სახ. მეურ. უმაღლესი საბჭო არის ისეთი ორგანო, რომელიც ჰქმნის რესპუბლიკის ეკონომიურ პოლიტიკას სახელმწიფოებრივ მასშტაბით, ხოლო კომუნალური განყოფილებანი კი, როგორც აღმოცენებულნი ადგილობრივ თვითმართველობის სა-

ფუძველზე, გულისხმობენ მხოლოდ ადგილობრივ
ეკონომიური პოლიტიკის წარმოებას და ამავე
დროს ისინი ადგილობრივი აღმასრულებელი ორ-
განოებია სახალხო მეურნეობის საბჭოსი. ის გარე-
მოება მოითხოვს ზემოხსენებულ დაწესებულებათა
გადამიჯნვას და მათი ჯფლება-ვალდებულებების გან-
საზღვრას. რაც შეეხება კომუნალური მეურნეო-
ბის შთავარ სამართვლოს, ის აღმოცენებულია
ერთის მხრით ერობათა ცენტრისა და მეორეს
მხრივ ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებე-
ბიდან, რომელიც არსებობდა ყოფილ შინაგან
საჩქეთა სამინისტროსთან.

ამრიგად მთავარ სამართველოს განკარგულებაში უნდა გადავიდეს ქალაქთა და გროზათა კავშირების ცენტრი მთელის თავის აპარატითა და ავლადიდებით იმ დარგების გამოკლებით, რომელთა ცენტრალური ორგანოები წარმოადგენენ საბჭოთა რესპუბლიკის აპარატის შემადგენელ ნაწილს, როგორც მაგ. სახალხო ჯანმრთელობის, განათლების და სხვ. საქმენი.

არის მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლებიც აფერხებენ კომუნალური მეურნეობის ორგანოთა ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებას. ამას უნდა შიშოთ მოგოთ დაჩქარებით.

მომხსენებელი დაწვრილებით არკვევს სახალ-
ხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და კომუნალუ-
რი მეურნეობის ორგანოთა ურთიერთშორის და-
მოკიდებულებების პრინციპებს და აღადგენ ყრილო-
ბას პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოთა
შორის დამოკიდებულების უმედიეს პრაქტიკას:

1) მონაწილეობის მიღება კომუნალურ მეურნეობის ორგანოების შექმნა-მოწყობაში ამავე წარმოებაში მონაწილე კავშირების მიერ, რისთვისაც კომუნალური მეურნეობის ყველა ორგანოები დაწყებული ქარხნის მმართველობიდან ვიდრე კომ. მ. მ. სამმართველომდე შესდგება და ეწყობა იმ კანდიდატებისაგან, რომელნიც უნდა წამოაყენონ ან სამეურნეო ორგანოებმა ან და კავშირებმა, თანდათანობითი წესით. ყველა გადაყვან-გადაყენება თანამდებობიდან უნდა ხდებოდეს კავშირების ორგანოთა შეთანხმებით. როგორც საერთო წესი, დაცულია ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოში შეყვანა სათანადო კავშირის ხელმძღვანელისა.

2. კომ. მეურ. მომუშავეთა კავშირი მონაწილეობას ღებულობს საერთო და მთლიან სამეურნეო გეგმის შემუშავებაში. კ. მ. მ. კავშირები იღებენ მხურვალე მონაწილეობას სამეურნეო ორგანოების მუშაობაში თავიანთ წარმომადგენლების წარგზავნის საშუალებით.

მ. კავშირები აწარმოებენ კონტროლს და აგრეთვე აძლევენ ინსტრუქციებს კ. მეურნეობის ორგანოებს წვრილ საწარმოო იაჩიეების შემწეობით. ამავე დროს ისინი მუდმივ ყურადღებას აქცევენ იმას თუ რამდენად მიზანშეწონილად სრულდება მიღებული სამეურნეო გეგმა და სხვ. კავში-

რებს ნება ეძლევათ მოითხოვონ სამეურნეო ინ-
განოების ან აღმინისტრაციულ პირთაგან კაპიტალის
ცნობები, მასალები და სხვა.

4. კავშირები ფართო მონაწილეობას იღებენ კომ. მეურ. დაწესებულებებში შრომის დისციპლინის განმტკიცებაში. მთავარ პრინციპებით სრულიად განისაზღვრება კავშირების და კომ. მეურ. ორგანოთა ურთიერთშორის დამოკიდებულება.

ყრილობამ შიილო ხსენებული მოხსენება და
დებულებანი, როგორც საინფორმაციო მასალა.
შემდეგ კრება გადავიდა ადგილიდან მოხსენებე-
ბის მოსმენაზე. მოხსენება გააკეთა 11 დილაგატმა,
რომელთაც თართოდ გააშუქეს ადგილობრივ კო-
მუნალურ განყოფილებათა საქმეები.

ყრილობაზე დაისვა საკითხი კომ. მეურნეობის მთავარ სამართველოს ორგანიზაციისა. ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც აღნიშნული სამმართველო უნდა გამოეყოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს და დაუკავშირდეს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. ყრილობა დასრულდა 27 სექტემბერს.

პოეზიაზე ი გეუჩნაოგის მო. სე-
მეგრეთველეს მოღვაწეობა

კომუნალური მეურნეობის სამმართველო დაარ-
სებულია იმ მიზნით, რომ მან ხელშეწყობა
გაუწიოს მთელი რესპუბლიკის საბჭოთა სისტემის
ძირითად სამეურნეო პოლიტიკის წარმოებას. ეს
სამმართველო წარმოადგენს კანონმდებლობითი ხა-
სიათის ორგანოს, რომელსაც მიზნადა აქვს დასა-
ხული ძველი, ბურჟუაზიული მეურნეობა გადაადუ-
ლოს კოლექტიური მეურნეობის ფორმებში—და
მით ხელი შეუწყოს ქვეყნის სამეურნეო აღორძი-
ნებას.

კომუნალური მეურნეობა დაყოფილია სპეციალურ დარგებად და მთავარ-სამმართველოსთან არსებობს ამ დარგების ექვსი განყოფილება:

1) საერთო განყოფილება (შესღება სამდი-
ვნო და სამეურნეო ქვე-განყოფილებებისაგან) წარ-
მოადგენს კომუნალურ მთავარ სამმართველოს აღმა-
სრულებელ ორგანოს, აწარმოებს სხდომების ოქმებს,
სამმართველოს თანამშრომელ პირთა აღრიცხვას,
აღკენს საერთო ხასიათის მოხსენებებს.

II. საბინაო განყოფილება (შესდგება სამუნიციპალო სახლების მართვა-გამგეობის ქვე-განყოფილებებისაგან) განაგებს საერთოდ საბინაო საქმეთა ორგანიზაციას, სახლების, ბინებისა და უძრავ ქონებათა მუნიციპალიზაციის საქმეს, მუნიციპალურ მამულების ხარჯთ აღრიცხვას, უძრავ-ქონებათა შეფასებას, ბინების ტარიფიკაციას და დაზიანებულ სახლების აღრიცხვას.

III. სატეხნიკო განყოფილება (შესდგება წარმოების, სააღმშენებლო და კეთილ მოწყობის ქვე-განყოფილებებისაგან) ხელმძღვანელობს სამი კატეგორიის საქმიანობას კომუნალურ მეურნეობაში: 1) საზოგადო, საჯარო საჭიროების სამუშაოები, აშენება და შეკეთება გზა (შარა და ქუჩები) ხიდებისა, ბოგირებისა, სხვა და სხვა ხელოვნურ ნაშენობათა (ჯებირები, კიდელები) კომუნალური ანუ მუნიციპალური სახლები (წყალ სადენითა) წყაროები სოფლად, ქალაქის წყალ-სადენი, თვითმდენი თუ ტუბოს საშუალებით, სარწყავი არხებისა და საერთოდ დასახლებულ ადგილებისა: განათება ქუჩებისა და საჯარო ადგილების, მცხოვრებთა უზრუნველყოფა სასმელი წყლით, აბანოები, მიმოსვლის საშუალებით (ტრამვაი, ტრანსპორტი), საჯარო ბაღების და ბაღნარების მოწყობა, ფეხსადგომთა საქმის მოწესრიგება (კანალიზაცია, სასენიზაცია, ბოჭკები და ქარავანი, ორმოების თხრა), ნაგვის გადაყრის საქმე (ნაგვის საწვავი ღუმელები და სხვა), დაგეგმვა ადგილებისა, დაკრძალვის ორგანიზაცია და სხვა და სხვა. 3. კომუნალურ (მუნიციპალურ) წარმოებათა ორგანიზაცია და ექსპლოატაცია: სახელოსნოები, წისქვილები, ელექტრონის სადგურები, სახერხი ქარხნები და წარმოება-მრეწველობის ყოველგვარი დარგი.

ყველა ამ საქმიანობას უძღვებიან ადგილობრივი კომუნალური განყოფილებანი: მაზრისა, ქალაქისა და რაიონისა ყველა თავიანთ ფარგლებში. კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს სატეხნიკო განყოფილების დანიშნულებაა ადგილობრივ ქვე-განყოფილებათა საერთო ხელმძღვანელობა. იგი აწარმოებს კანტროლსა და ზედამხედველობას, იმუშავებს საერთო გეგმებს ადგილობრივ სახელმძღვანელოდ. იხილავს და ამტკიცებს ხარჯთაღრიცხვებსა და პროექტებს წარმოებათა, და სხვა საქმიანობისა, ეხმარება ადგილობრივ ორგანოებს სპეციალისტებით, იმუშავებს სავალდებულო დადგენილებებს (სააღმშენებლო წესდება) და სხვა.

განყოფილების მუშაობა გამოიხატა საანკეტო ფურცლების დაგზავნაში, ადგილობრივ შემუშავებულ ხარჯთაღრიცხვების და პროექტების განხილვაში. დაიგზავნა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქვე-განყოფილებები. ადგილობრივ განყოფილებამ შეიმუშავა ტიპი მუშათა სახლისა, ქალაქ-ბაღისა, ნაგვის საწვავ-ღუმელებისა და სხვა, ცნობაში მოიყვანა კომუნალურ წარმოებისათვის საჭირო მასალათა რაოდენობა, შეკრიბა სტატისტიკური ცნობები წარმოებათა ნაყოფიერების შესახებ და იმუშავებს საერთო გეგმას კომუნალურ წარმოებათა ორგანიზაციისათვის.

IV. ცეცხლის მოვლენათაგან დამცველი განყოფილება (შესდგება საქალაქო, სამაზრო, მომარაგების და საინსტრუქტორო ქვე-განყოფილებებისაგან) აწარმოებს ცეცხლთან ბრძოლის საქმეს,

ირკვევს ცეცხლის მოვლენათა მიზეზებს, გამოსცემს გაფრთხილებითი ბრძანებებს, იმუშავებს ინსტრუქციებს ცეცხლის ბეგრის შესახებ, აწვევს მოხალისე რაზმებისა და გუნდების მოსაწყობად ნომალურ წესებს, გამოსცემს ინსტრუქციებს პროფესიონალურ გუნდების დაარსებისათვის, აარსებს ცეცხლის მქრობ საინსტრუქტორო კურსებს, აწყობს ცეცხლის მქრობ სარემონტო სახელოსნოებს და სხვა.

V. საადგილ-მამულო განყოფილებას (შესდგება ეკონომიური და საბეითლო ქვე-განყოფილებებისაგან) ევალება მუნიციპალური მიწების აღრიცხვა, მათი ექსპლოატაცია და გამგებლობა, საადგილ-მამულო მეურნეობის შესახებ განკარგულების მოხდენა, საადგილ-მამულო ორგანოების ხელმძღვანელობა, სამიჯნო სატყეო საქმეები, სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია, საქონლის გამრავლება და მათი ჯიშის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა, სასაკლავოს გამგებლობა, სარძეო მეურნეობა და სხვა.

VI. მატერიალური განყოფილებას (შესდგება ფინანსიური სტატისტიკური და მომარაგების ქვე-განყოფილებებისაგან) ევალება მოთხოვნათა სიების შედგენა, თანამშრომელთა ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად, თვალყურის დევნება ქვემდებარე ორგანოებისათვის, რომ ისინი ასრულებდნ დამტკიცებულ ხარჯთ-აღრიცხვას, გასამართლებელ საბუთების წარდგენა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, სტატისტიკურა ცნობების შეკრება, საწყობების ორგანიზაცია, საკანცელარიო მასალების განაწილება განყოფილებათა და ქვემდებარე ორგანოთა შორის და სხვ.

მთავარი სამმართველო მისი დაარსების დღიდან გაორკეცებული ენერგიით, ერთის მხრით, სწავლობდა და იცნობდა საბჭოთა რუსეთის კომუნალურ მეურნეობის ძირითად პოლიტიკას, სტდილობდა მის გადმონერგვას ჩვენში ცხოვრებასთან შეფარდებით; მეორის მხრით, მას უხდებოდა ბრძოლა, ხელის უფლების სისტემის გამოცვლის მიზეზით გამოწვეულ, ანარქიასთან. მიუხედავად ამისა მთავარმა სამმართველომ მოკლე ხანში მოაწყო თავისი ორგანოები როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში და შეუდგა მუშაობას ქალაქებსა და მაზრებში, მეურნეობის აღორძინების ნიადაგზე.

სამმართველომ თავის მოკლე ხნის არსებობაში მრავალი ზომები მიიღო დეკრეტების, ინსტრუქციების, ბრძანებების თუ დადგენილებების სახით: მეურნეობის კეთილწყობილების, მშრომელთა კლასის საბინაო პირობის გაუმჯობესების შესახებ, სააღმშენებლო ცეცხლ-სამთვლენათაგან დამცველობის საქმეში.

კომუნალურმა მთავარ სამმართველომ ან ხნის განმავლობაში გამოაქვეყნა დეკრეტების, ცირკუ-

ლიარების, ბრძანებებისა და დადგენილებათა მთელი რიგი.

1921 წ. 23 სექტემბერს მთავარ კომუნალურ სამმართველოს მიერ მოწვეული იყო სრულიად საქართველოს კომუნალურ განყოფილებათა გამგეობის პირველი ყრილობა, რომელზედაც 15 დელეგატი დაესწრა, ე. ი. თითქმის ყველა მაზრიდან და ქალაქებიდან. ამ ყრილობას დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მან გააერთიანა კომუნალურ განყოფილებათა მოქმედება, გააცნო პროვინციელი ამხანაგები საბჭოთა ფინანსიურ პოლიტიკას, კომუნალურ მეურნეობის ხასიათს მთელს რესპუბლიკაში და მათს მუშაობაში შეიტანა ენერგია და სიმზნევე.

მაზრის რეკომენდები.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საინსტრუქტორო საინფორმაციო განყოფილებას ხოლოდ ზოგიერთი მაზრის რეგკომი უგზავნის ყოველთვიურ მოხსენებას მაზრაში თავის მუშაობის და საერთოდ მაზრის მდგომარეობის შესახებ. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოხსენება არ მოდის ყველა მაზრიდან. დღემდე მხოლოდ 13 მაზრა ჰგზავნის და, რაც უფრო საყურადღებოა მოხსენებას გზავნიან ყველაზე უფრო დაშორებული მაზრები. ისეთ მაზრას, როგორცაა მაგალითად თფილისისა, მდიდარი როგორც თანამშრომელთა ძალებით, ისე სამუშაოს მხრივ, დღემდე არ წარმოუდგენია არავითარი მოხსენება და ემჩნევა დიდი გულგრილობა. ასეთი მოხსენებები კომისარიატს საშუალებას მისცემს რომ თვალი ადევნოს რეგკომების მუშაობას და გაეცნოს მის დადებითს, და უარყოფით მოვლენებს. ამ მიზნით ჩვენ განვიზრახეთ ეურნალ „შინაგან საქმეთა“ შემოვიღოთ განყოფილება მაზრის რეგკომიუციონური კომიტეტების მუშაობის შესახებ, რომელშიც სისტემატიურად იქნება მოთავსებული რეგკომების მოხსენებიდან ამოწურული ცნობები. ამ ცნობების მოწოდებას ვიწყებთ განაპირა მაზრებიდან.

1. თიანეთის მაზრა.

თიანეთის რეგკომი, ადგილობრივი ძალებიდან და ადგილობრივ კომუნისტების ინიციატივით, დაარსდა ა. წ. 28 თებერვალს. რეგკომის პირველი ხნის მეთაური, რომელიც თავის თავს კომუნისტს უწოდებდა, მალე იქნა დატუსაღებული, როგორც სრულიად შეუფერებელი პიროვნება და გადაიგზავნა დუშეთში. მისი ადგილი დაიჭირა თფილისიდან ჩასულმა ამხანაგმა. იმთა-

ვითვე რეგკომთან დაარსდა 12 განყოფილება, მაგრამ ვინაიდან არც მომზადებული იქნა მომზადებული იყვნენ რეგკომში, და ამასთანვე უწყოდა შორე და მძიმე პირობები მიმოსვლისა, ხელს არ უწყობდა საქმის რიგიანად დაყენებას, ყველა განყოფილება შესაფერი ვნერგით არ მუშაობდა და ბევრი მათგანი ცოცხალ მკვდარს დაემსგავსა. ამიტომ ადგილობრივ არ მოქმედებდა ა) მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ბ) ეკონომიური კომუნალური განყოფილებანი. აღმინისტრაცია ამავე ხანებში ვერ იდგა თავის სიმაღლეზე. მილიციის სათავეში იდგა არაკომუნისტი, მაგრამ გამოცდილი და საიმედო პიროვნება. როგორც ქვეითი, ისე ცხენოსანი მილიციის რიცხვი აღწევდა მთელ მაზრაში 80. რეგკომის მოხსენებიდან (მისის) სჩანს რომ ეს რიცხვი მცირეა მთელი მაზრისათვის და სასურველად მიაჩნიათ მათ მილიციის საერთო რიცხვის 120—130 კაცამდე აყვანა. მისამდე მაზრაში დაარსებული იყო სულ 14 ადგილობრივი რეგკომი, რომლებიც თავიანთ სამოღვაწო დარგში ძალიან სუსტ მუშაობას ეწეოდნენ.

მთელი მაზრა იყოფოდა 3 რაიონად. მცხოვრებთა საერთო გასაქირი და მწვავე საკითხი იყო მიწაწყლის დატყის სიფიწროვე რაიც დაუყონებლივ მოითხოვდა გადაწყვეტას. გზების მხრივ მაზრა საშინელ მდგომარეობას განიცდიდა. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა შეკეთება შემდეგი გზებისა: ახმეტა—თიანეთისა 30 ვერსზე; თიანეთ—ერწოსი 20—25 ვერ. თიანეთ—მადაროს კარისა—30 ვერ. სწავლა განათლების მხრივ, მაზრა ძალიან ჩამორჩენილი იყო. არ არსებობდა საავადმყოფო, სამკურნეო, სამკურნალო პერსონალი და მედიკამენტები.

თიანეთი მდიდარია როგორც სამკურნალო წყლებით, აგრეთვე მადნეულობით, მაგრამ მის სიმდიდრეს შეადგენს უფრო მოუვლელი, მაგრამ ძვირფასი თავისი სიფრცით და სინოცივრით საზაფხულო საძოვარი მთები, იალაღებით, რაც ხელს უწყობს თიანეთის მაზრაში მეჯოგეობის განვითარებას. ეს მთები დაახლოვებით 150,000 ლესეტინ ნას შეიცავს და იქ რამდენიმე ათი ათასი სული საქონლის გამოკვება შეიძლება. აქედან დებულობს საქართველო თუშურ ყველს და ერბოს. რეგკომის მოხსენებაში აღნიშნულია ის აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც ქმნიან ყაჩაღურად განწყობილნი ქისტების ბრბოები, რომლებიც სისტემატიურად ეცემიან მეჯოგეებს, ათასობით სტაცებენ ხოლმე საქონელს და ხოცავენ შეტაკების დროს თვით პატრონსაც. ამის თავიდან ასაცილებლად და მოხალისეთა ასაღამავად, რეგკომს საჭიროდ მიჩნია საზღვარზე შეიარაღებული ძალების ჩაყენება.

თიანეთის მაზრას, ყოფილი მთავრობის შემდეგ დარჩა ერობის გამგეობის მიერ მოწყობილი

ელექტრონის სადგური, წისკელი ორი თვალი, და ნახევრად გამართული ხერხის ქარხანა, სასურსათო მაღაზია (ცარაღლი) და სამ ადგილას მოუწყობელი სამკურნალო პუნქტი.

მაზრის დაწესებულებათა მუშა მოსამსახურენი ძალიან შევიწროვებულნი არიან სურსათ სანაგვის უქონლობით. მართალია აპრილის დასაწყისს დაარსდა სასურსათო კომიტეტი, მაგრამ ჯერ კიდევ (მაისის დასაწყისამდე) თავის მოვალეობის ასრულებას არ შესდგომა. ასეთ პირობებში მუშაობა მით უმეტეს როცა მეზობელი მაზრები, რეკომის მოხსენების მიხედვით, ხელს უშლიან, აფერხებს მაზრის საკეთილდღეო მუშაობას.

ა. წ. 20 ივლისს მოხდა თიანეთის მაზრის რეკომის და მასთან არსებულ განყოფილებათა გამგეების შეერთებული სხდომა. ამ სხდომაზე მოსმენილი იქნა ყველა განყოფილებათა გამგეების სრული მოხსენება. კრება გაიხსნა თავმჯდომარის აშა. სურგულაძის მოხსენებით: მისი მოხსენებიდან გამოიკვა, რომ მაზრის რეკომს არც მაისის შემდეგ გაუყვანია ბევრი რამ. გარდა იმისა, რომ საბჭოთა დაწესებულებების და განყოფილებათა უფლებრივი მდგომარეობა, სავსებით არა ყოფილა გამოჩვეული, არც ფაქტიურად გაკეთებულა რამე. მისი აზრით საჭიროა უფრო ხშირი (კვირაში ერთხელ) სხდომები, რომ აშკარა შეიქნეს ვინ რას აკეთებს, ან კეთდება რამე თუ არა. დაუყოვნებლივ უნდა მოეწყოს და სათანადო სიმაღლეზე დასდგეს კომუნალური განყოფილება, მუშათა და გლეხთა ინსპექცია, იუსტიციის განყოფილება და უნდა აირჩიონ სახალხო მოსამართლენი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თიანეთის მაზრა, ძალიან ღარიბია კულტურული ძალებით და ხშირად კანცელარიისათვისაც კი ვერ შოულობენ ხოლმე წერა კითხვის მკოდნე პირებსაც.

რეკომის განათლების განყოფილებას, გადაწყვეტილი ჰქონდა სასაწავლებლო კურსების მოწყობა; კურსების მოწყობის ნებართვა მიღებულ იქნა სახალხო განათლების კომისარიატიდან. საჭირო ლექტორებიც მოიწვიეს, მაგრამ ვინაიდან იმავე კომისარიატმა დაადგინა გაიხსნას თბილისში ინსტრუქტორთა მოსამზადებელი კურსები, იქ გაიგზავნა ორი ამა. საინსტრუქტოროდ და თიანეთში კურსები აიღარ გაიხსნა. ქ. თბილისში 6 ივნისს, თიანეთიდანაც დაესწრო რეკომების განათლების განყოფილებათა გამგეების ყრილობის წარმომადგენელი. ამ ყრილობაზე გამოიკვა, რომ ყველა სხვა რეკომს ჰქონია სხვა და სხვა გვარი ინსტრუქცია, მაგრამ ასეთს თიანეთის მაზრა მოკლებული იყო, რაშიც დამნაშავენი არიან ყოველი წევრები მაზრის რეკომისა. განყოფილება ინსტრუქციების მიხედვით მუშაობას შეუდგა 24 ივნისიდან. დაარსდა კოლეგია ორი კაცისაგან, საჭიროა მესამე წევრი, კომუნისტი; კოლეგიას გადაწყვეტილი აქვს დაარსოს ახალი სკოლები, სადაც კი შესაძლებელი იქ-

ნება. ამ ჟამად არსებობს (ივლისისათვის) 13 სასწავლებელი. ახლისათვის საჭიროა მასწავლებლები, ბინა, არსებული შეკეთება: დათვალიერებამ აჩვენა, რომ ყველა სკოლის ბინა საშინელია. უნდა მომდგომარეობაში იყოს; საქმის გაძოვრება და აღორძინებას ხელს უშლის უფულობა. ნათხოვნი ხუთი მილიონი რეკომის სალონოდან, არაფერი მიუღია განყოფილებას. განყოფილებას გადაწყვეტილი ჰქონდა უმაღლესი პირველი დაწყებითი სკოლისთვის მე 5-თე კლასის მიმატება, რისი დასტურიც მიღებული იყო სახალხო განათლების კომისარიატიდან.

მაზრაში წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის, კოლეგია აწარმოებს რეგისტრაციას 15—50 წლამდე. რეგისტრაციის გათვების შემდეგ კოლეგია შეუდგება წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს. განყოფილების განკარგულებაში გადასულია შემდეგი კულტურული დაწესებულება: თეატრები, კინემატოგრაფები, სამკითხველოები, კლუბები და სხ. თეატრის მოწყობას შეუდგა საგანგებოდ დანიშნული ამხანაგი. განზრახულია ახლო მომავალში წიგნთსაცავ სამკითხველოების გახსნა, აღდგენა სათეატრო სასწავლებლის ქ. თიანეთში. შემდგომი ორი დაზგა. საჭიროა, რეკომმა მიიღოს ზომები რომ მასწავლებლები დასთანხმდნენ მთიან მაზრაში ჩამოსვლას, მათი მდგომარეობის პირობების გაუმჯობესებით.

საერთოდ საჭიროდ სთვლის განყოფილება 20 ახალი სასწავლებლის გახსნას მაზრაში, მისთვის და ძველის მოსაგლეჯად საჭიროა საკმაო თანხა.

რაც შეეხება კომუნალურ განყოფილებას, იგი ივლისში მოეწყო, მაგრამ მას არა ჰყავდა არც შტატი, არც კოლეგია იყო არჩეული.

ტენიკურ განყოფილებას ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მთელ განყოფილებაში მარტო გამგე მუშაობდა და საერთოდ არ იყო საქმე სასურველ ნიადაგზე დაყენებული. ამას უშლიდა ხელს უსახსრობა, რეკომის წევრების ხშირი ცვალებადობა. განყოფილების აზრით გზების შეკეთების დაყოვნება შეუძლებელია და უნდა იქნეს მიღებული სასწრაფო ზომები.

მაზრის რეკომი აღნიშნავს საერთოდ მუშაობის მძიმე პირობებს. ფაქტიურად მაზრაში არაფერი გაკეთებულა. ამის მიზეზი სხვათაშორის, როგორც ზეითაც იყო აღნიშნული ისაა, რომ მაზრა ღარიბია ინტელიგენტური ძალებით, არაა გზები და საერთოდ გეოგრაფიული მდგომარეობა ართულებს საქმეს.

ფშავის რაიონის მდგომარეობა არაა სასურველად მოწყობილი: მილიცია მოისუსტებს. ხალხი, როგორც სჩანს 10 ივლისის თემთა და რაიონთა ყრილობაზე გაკეთებული მოხსენებიდან, კმაყოფილია. მუშაობა კანცელარიაში თითქმის არაა, საკანცელარიო ნივთების უქონლობის გამო, არაა

სამკურნალო, არაა ექიმი, გაკრცელებულია ავად-
მყოფობა. ამ რაიონში არის ერთი სასწავლებე-
ლი.

ხევსურებში რევკომი დაარსდა 15 აპრილს:
საკანცელარიო ნივთები არა აქვთ; თვით კანცელა-
რიის ბინა დანგრეულია და მოუწყობელი. მთავ-
რობის ყველა დადგენილება და დეკრეტი ტარდება
ცხოვრებაში. მილიცია აქაც სუსტია. რევკომთან
არ არსებობს არავითარი განყოფილება. ხალხს სუ-
რს სწავლა და სკოლების გახსნა. პარტიული მუ-
შაობა არ სწარმოებს.

პანკისის ხეობაში რევკომი პარტიული
ამხანაგებისაგან შესდგება. რევკომის კანცელარიას
აქაც არა აქვს სათანადო მოწყობილება. რევკომი
მოქმედებს კანონიერების ფარგლებში. მიწის კო-
მიტეტები შემდგარია და შეკლებისადაგვარად ატა-
რებენ რეფორმებს. ხალხში სწავლა განათლების
დიდი სურვილია. ჯარში გასაწვევნი არიან, დებე-
რტირობა მცირეა. მთავრობის საწინააღმდეგო ნა-
ბიჯებს ადგილი არა ჰქონდა.

**მატონ მარელისის, ახმეტის რაიონის, ზემო
თიანეთის, არაგვის თემის, აყარაულოს, სა-
ეროვნის, ტალათ სოფლის და სხ. რაიონის და
თემის მდგომარეობაც** ისეთივეა, როგორც ზევით
აღნიშნულების. საკანცელარიო ნივთები არა აქვთ,
მილიცია მოისუსტებს, სკოლები ცოტაა. ზოგიერთ
თემებში მიწის სასტიკი სიმცირეა საყდრონის თემ-
ში. მცხოვრებთა შორის უთანხმოებაა მიწის ნია-
დაზე. სურსათ სანოვავის საერთო სიმცირეა.
მცხოვრებლები კარგათ უყურებენ ახალ მთავრო-
ბას. კავშირი ერთმანეთთან ცენტრისა და რაიო-
ნისა და თემის შორის სუსტია. უგზოობა საერთო
სენია.

ამ საერთო მდგომარეობას თან ერთვის გრო-
ზნოს რაიონიდან, შეიარაღებული, ქისტების თავ-
დასხმა. იგი ხელშეყოფს მოხდა ივნისში, გაიტაცეს
საქონელი. მოჰკლეს მწყემსი. რევკომმა თავის მხრივ
მიიღო სასწრაფო ზომები და ეცნობა აგრეთვე ცენ-
ტრსაც.

ამ ჟამად თიანეთის მაზრაში არის 12 თემის
რევკომი.

10 სექტემბერს ქ. თფილისში შ. ს. ს. კომი-
სარიატის საინსტრუქტორო და საინფორმაციო გან-
ყოფილების მიერ მოწვეული ყველა მაზრის რევკო-
მთან არსებული საინსტრუქტორო და საინფორმა-
ციო ქვე განყოფილებათა გამგეების ყრილობაზე
წარმოდგენილი წერილობით მოხსენებიდან, დღე-
ვანდელი მდგომარეობა მაზრისა შემდეგ ნაირად იხა-
ტება:

თიანეთის მაზრა, სხვებთან შედარებით უფრო
ჩამორჩენილია, როგორც კულტურულად ისე ეკო-
ნომიურათაც. როგორც მაზრის, ისე თემის რევკო-
მები მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გადავიდა
ორგანიზაციის ხანაში. მაზრაში არაა სარაიონო

რევკომი, რადგან ადგილობრივი პირობების მიხე-
დით რევკომი მის საქმიანობას არა შეუძლებს. დღემდე
სტეულია ფშავ-ხევსურეთში სამი სათემო რევკომი,
რომელიც დღემდე ვერ დაარსდა ტენიკური და
სხვა დამაბრკოლებელი მიზეზების გამო. მაზრაში
რევკომი ახდენს თემების რევკომების რევიზიას
და რეორგანიზაციას. სამწუხაროდ სათემო რე-
ვკომები, მხოლოდ ქალაქებში ითვლებიან და
იჩენენ სრულ უმოქმედობას. არა ყავთ მდივნები,
მოუწყობელია კანცელარია, არა აქვთ საქარო ნივ-
თები. მაზრაში დღესაც არ მოიპოვება გამოცდილი
პირები და ინტელიგენტური ძალები. 10 ივლისამ-
დის მაზრა თითქმის უშატროოდ იყო მიტოვებუ-
ლი. ამ რიცხვიდან კი, ამჟ. სურგულაძის და ადა-
მიძის დანიშნებიდან, მაზრას დაეტყო რევკომის
შემოქმედებით მუშაობის გავლენა.

მაზრის რევკომთან დაარსებულია შემდეგი
განყოფილებანი: ა) შინაგან მართველობის, ბ) შრო-
მის, გ) სოციალური უზრუნველყოფის, დ) სახალხო
განათლების, ე) ფინანსური, ვ) საადგილმკვეთი,
ზ) სასურსათო, თ) საეკონომიკო და კომუნალური
და ი) იუსტიციის. დასაარსებელია მუშათა და
გლეხთა ინსპექცია. რევკომის ქვე განყოფილება-
ნი არ არიან სათანადოდ მოწყობილნი ძალების
უყოლობის გამო და ცხადია ასეთ პირობებში სა-
სურველ ნიადაგზე ვერ იქნება დამდგარი ადგი-
ლობრივი ხელისუფლების ორგანოს მოქმედება.
ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა თემის რევკომის
წევრებს არ ესმით დეკრეტის, დადგენილების და
სხ. შინაარსი და ამიტომაც დღემდე ბევრია.

მიწის დეკრეტი შეძლების და გვარად ტარ-
დება ცხოვრებაში; არჩეულია კომიტეტები, კრებენ
საქირო ცნობებს და უკლან მიწის მზომებს.
მაზრაში მარტო ერთი მიწის მზომელი მუშა-
ობს.

დღესაც უმთავრესი ყურადღება მიჰყრბილია
დანგრეული გზების გაკეთებისაკენ. სამუშაოდ გა-
მოდის ყველა შრომის უნარიანი მოქალაქე. გან-
საკუთრებით რევკომის წევრი ამხ. ადამიდე ხარჯა-
ვდა დიდს ენერგიას გზების წესიერად გაკეთება-
ზე.

ქისტების ყაჩაღობა ფართო ხასიათს იღებს
და შეერებილი ცნობებიდანა სჩანს, რომ წრე-
ულს სხვადასხვა დროს მათ მიერ გადარეკილ იქნა
სულ 60,000 სულამდე ცხვარი და ძროხა. მოკ-
ლულია სულ ექვსი კაცი და რამდენიმე დაჭრილია.
ვერ მოხერხდა ასეთი თავდასხმის ლიკვიდაცია და
როდის მოეღება ბოლო, ძნელი სათქმელია, თუმ-
ცა მთავრობის მიერ მიღებულია ზომები. საერთო
ხასიათის, სხვა ბოროტმოქმედებათ ადგილი არა
ჰქონია, გარდა წვრილი ქურდობაცობისა.

ა. წ. 26 აგვისტოს მოხსენება არ იძლევა
უკეთესს სურათს თიანეთის მაზრის საერთო მდგო-
მარეობის შესახებ. მიზეზი აგვისტოში იგივე იყო,

რაც უწინ. ძალების უყოლობა, ადმინისტრაციის სისუსტე, უგზოობა, ყაჩაღობა და სხ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მაზრის მდგომარეობას და პირობების გასაუმჯობესებლად მიიღო შემდეგი ზომები: თითქმის სრულიად შეცვლილ იქნა სამაზრო რევკომის შემადგენლობა და დაინიშნენ უფრო მუყაოი და გამოცდილი პირები. განახლებული რევკომი დიდის ენერგიით შეუდგა მუშაობას, მოახდინა გადახალისება ადგილობრივი რევკომების, გააბა მკიდრო კავშირი მათთან, შეუდგა ადმინისტრაციის გაწმენდას, გზების გაყვანას. კომისარიატმა გაგზავნა საგანგებო რწმუნებული მაზრის საქმეების გასაცნობად და სარევიზიოდ, საინსტრუქციოდ და საერთოდ იმ დეფექტების შესასწორებლად, რასაც აგვისტოზე ჰქონდა ადგილი. რწმუნებულმა პ კვირა დაჰყო მთელ მაზრაში, და დაიარა თითქმის ყველა რაიონი და ადგილობრივ იღებდა საჭირო ზომებს. კომისარიატმა გააგზავნა აგრეთვე შერეული კომისია, ქისტებსა და თიანეთის მაზრის მცხოვრებთა შორის ამტყდარი სხვა და სხვა გვარი დავის და ყაჩაღური გამოსვლის სალიკვიდაციოდ. კომისიამ გამოიძია მთელი საქმე და ამ მასალის მიხედვით მოხდენილი იყო სასტიკი განკარგულება.

ეცნობა ჩრდილო კავკასიის ს. ს. რესპუბლიკის მთავრობას გროზნოდან გადოსული ყაჩაღური ბრბოების მოქმედება და ეთხოვა ზომების მიღება.

ამის შემდეგ მაზრას მეტი სიმშვიდე და საქმიანობა ეტყობა. მაზრის ახალი რევკომი დიდის ენერგიით განაგრძობს დაწყებულ მუშაობას.

პითხვა-პასუხი

კითხვა.

საქართველოს წითელი ლაშქრის ჯარისკაცი გვეკითხება: გაგვიმარტეთ, ჩვენი, წითელი არმიელთა ოჯახობას რა დამოკიდებულება აქვს იმ დეკრეტებსა და ბრძანებებთან, რომელიც გამოიცა საქართველოს რევკომის მიერ წითელ არმიელთა შესახებ. რა უპირატესობას ანიჭებს ეს დეკრეტი მათ და თუ არის ასეთი უპირატესობა, აქვთ თუ არა უფლება ადგილობრივ ხელისუფალთა ორგანოებს არ შეასრულონ დეკრეტები. თუ არა აქვთ ამის უფლება რა უნდა ვიფიქროთ, რომ დაცულ

იქნეს ჩვენი შინ არ ყოფნის დროს ჩვენი ოჯახი და ქონება?

პასუხი.

წითელ არმიელი, როგორც ერთერთი და უმთავრესი მუშურ გლეხური ძალა საბჭოთა სისტემის სახელმწიფოში, უეჭველად აღჭურვილია საგანგებო უფლებებით და მას მინიჭებული აქვს ბევრგვარი უპირატესობანი, იმის თანაბარი, — თუ რა მოვალეობაც აწევს მას. დეკრეტი, № 41 არის ძირითადი დეკრეტი, რომელიც საერთოდ აღინიშნავს იმ უფლებებს და უპირატესობათ, რომელიც მინიჭებული აქვს წითელ არმიელს. ამ დეკრეტის პირველი მუხლი გულისხმობს საქართველოს წითელ ჯარში მობილიზაციით გაწვეულთ და აგრეთვე მოხალისეთ, აგრეთვე შრომის უნარ მოკლებულ მათი ოჯახის წევრებს. ამ მუხლის საზრუნავი საგანია წითელ არმიელიც, მათი უფროსებიც და სამხედრო მოხელეებიც. მუხ. 4 ძალით მიწის მუშა წითელ არმიელს ენახება მიწაზე ყველა მისი უფლება, და მათი ქონება თავისუფალია ყოველგვარი რეკვიზიციისა და კონფისკაციისაგან (მუხ. 5), როგორც წითელ არმიელები, აგრეთვე მათი ოჯახები, რომელთაც ისინი ინახავენ, თავისუფალნი არიან, მათი ჯარში ყოფნის დროს, ყოველნაირი პირდაპირი გადასახადისაგან, ხოლო ნახევრად სასურსათო გადასახადისაგან. (მუხ. 6.) წითელ არმიელის ჯარში ყოფნის დროს მისი ოჯახი თავისუფალია ბინის ქირისაგან, გადასახლება, — გადმოსახლებისაგან და შრომის ბევარისაგან. (მუხ. 7) და მათ ოჯახებს ეძლევათ ყოველგვარი დახმარება ფულით (მუხ. 9) დახმარებას იძლევა სოციალურ უზრუნველყოფის პუნქტები და თემის რევკომები, რომლებსაც ხელმძღვანელობს სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება (მუხ. 15), ამ დეკრეტის შესრულება ევალება სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს, ხოლო მისი სასურსათო და სამეურნეო დახმარების ნაწილის განხორციელება ევალება მიწათ მოქმედების კომისარიატს. (მუხ. 24) ამნაირათ დეკრეტი სავსებით არკვევს უღაო უფლებებს წითელ არმიელისას. ეს დეკრეტი (როგორც სხვაც) სავალდებულოა ყველასათვის და მისი დარღვევა გამოიწვევს დამნაშავეს პასუხის გებაში მიცემას. („მოამბე“ № 10)

ამ დეკრეტის დამატებათ და განსამარტავად ა. წ. აგვისტოს 10-ს საქართველოს რევკომმა გა-

მოსცა ბრძანება № 60, რომლის ძალითაც დაუყონებლივ და სისწორით უნდა იქნეს გატარებული ცხოვრებაში დეკრეტი № 41 და ამით მიეცეს საშუალება წითელ არმიელს გულდასმით იმსახუროს ჯარში. ა. წ. 30 სექტემბერს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, ცირკულიარული ბრძანებით მიმართა ყველა მაზრის და ქალაქის რევკომს, თანახმად სამხედრო და საზღვაო კომისარიატის ა. წ. 24 სექტემბრის № 36 ნომარტის, რომ სასტიკად და სავსებით დაიცვან დეკრეტი № 41-ს ყოველი მუხლი, შეწყვეტილ იქნეს ყოველგვარი რეკვიზიცია, გადასახლება, კონფისკაცია, და სხ. უკანონო მოქმედება წითელ არმიელთა ქონების წინააღმდეგ და თუ დღემდე ჰქონდა აღდგილი დეკრეტი № 41 დარღვევას, დაუყონებლივ უნდა აღადგინოს თავიანთ უფლებებში საქართველოს ყველა წითელ არმიელი. ამ ცირკულიარული ბრძანების სისრულეში მოყვანა და მისი სავსებით შესრულება, პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ, დაევალო როგორც მაზრის და ქალაქის, აგრეთვე რაიონისა და თემების რევკომების თავმჯდომარეთ. („მოამბე“ № 17).

აქედან ცხადია, რომ არავის, გარდა საქართველოს რევკომისა, არ შეუძლია შეცვლა დეკრეტი № 41-სა და რადგან იგი არ შეცვლილა, სავალდებულოა ყველასათვის. თუ ვინცობაა მიუხედავად ამისა მაინც მოხდება აღნიშნულ დეკრეტის დარღვევა, მაშინ, — თუ თემის ან რაიონის რევკომია დამრღვევი, — დაინტერესებულმა პირებმა განცხადება უნდა წარადგინონ მაზრის რევკომში (ქალაქში კი ქალაქის რევკომში), თუ კი მაზრის რევკომია დამრღვევი, — მაშინ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში, რომელიც დაუყონებლივ მიიღებს საჭირო ზომებს.

კითხვა.

რა წესით უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის თუ კომუნების დაარსება? ესაჭიროება რეგისტრაცია, თუ პირად სურვილებზეა დამოკიდებული?

პასუხი.

კომუნის, ან სასოფლო სამეურნეო მწარმოებელი კომუნის ნორმალური წესდება გამოქვეყნებულია მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის მიერ და იგი დაბეჭდილია აგრეთვე შ. ს. ს. კომისარიატის ჟურნალი „მოამბის“ მე-17

ნომერში. ამ წესდებაში აღნიშნულია: საერთო დებულება, კომუნის სახსარი, კომუნის შემადგენლობა, წევრთა უფლება და მოვალეობა, წევრთა საერთო კრება და მისი საგანი, გამგეობა კომუნის და მისი მოვალეობა და ლიკვიდაციის წესი. იქვე დაბეჭდილია „წესები სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის, თუ კომუნების დაარსებისათვის“. ამ წესების მიხედვით, ამხანაგობა არსდება თანახმად ნორმალური წესდებისა. კომუნას შეუძლია ნორმალური წესდების შეცვლა, მაგრამ ისე კი რომ დედა აზრი არ უნდა იქნეს შეზღუდული — (მუხ. 1.) ამხანაგობისათვის აუცილებელია რეგისტრაცია. ამ რეგისტრაციას კი აწარმოებს საერთოდ კოლექტიური მეურნეობის ნაწილი რესპუბლიკაში, მაზრებში ადგილობრივი რეგისტრაცია მინდობილი აქვს საადგილ-მამულო განყოფილებას. (მუხ. 2 და 3.) თუ კი ამხანაგობა არსებობდა ამ წესდების გამოქვეყნებამდე, მაშინ ამხანაგობა ვალდებულია თავისი წესდება შეუფარდოს ახალს და იგი წარადგინოს როგორც სარეგისტრაციოდ, აგრეთვე დასამტკიცებლად, თანახმად წესების 4 მუხლისა და მისი შენიშვნისა. (იხ. „მოამბე“ № 17).

კითხვა.

რა მდგომარეობაშია მილიცია უფლებრივის მხრივ და რას ნიშნავს, რომ მილიციის დებულების თანახმად, იგი თითქმის სამხედრო ერთეულად არის მიჩნეული?

პასუხი.

მილიცია საბჭოთა სახელმწიფოს სისტემაში დიდ როლს თამაშობს და მისი როლი არსებითად განიზრჩევა ძველი მილიციისა და პოლიციისაგან. მილიციას საბჭოთა სახელმწიფოში მინიჭებული აქვს სამხედრო ორგანიზაციის სახე და მილიციონერი ისეთივე უფლებებით სარგებლობს, როგორც წითელი არმიელი. მასზე ვრცელდება აგრეთვე დეკრეტი № 41 ქონების, ბინის და სხ. ხელშეუხებლობის მხრივ. მილიცია საჭიროების დროს, შეუძლია გამოიყენოს სამხედრო კომისარიატმა და თავდაცვის საბჭომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით საომარი მაზნებისათვის იმ რაიონში, სადაც ეს საჭირო იქნება. მილიციაში სწარმოებს სამხედრო ვარჯიშობა და საერთოდ წითელ არმიელთა უფლებების მინიჭებისთან ერთად, თანამშრომლებს ან თანაბარი პა-

სუბსიდირება, როგორც სამხედრო ძალის ნაწილს. მილიციის მილიტარიზაციის შესახებ იხილეთ დაწვრილებით წერილი ივენინის „ელასტ სოვეტოვში“ № 6—7 და შ. ს. ს. კომისიისათვის „მოამბეში“ № 8.

კ ი თ ზ ე ა .

ორმა, ან მეტმა პირმა (1920 წ. დეკემბერში შორაპნის მაზრაში) შეიძინეს მეპატრონედან, რომელსაც შვილი არ ჰყოლია, მაგრამ ჰყავდა ძმა, და — და ძმისწულები რამდენიმე ქცევა მიწა, რის დასადასტურებლადაც მყიდველებმა გამყიდველთან დასდევს შინაურული პირობა, ამ პირობის კანონიერი მხარეების დაცვით. ფასად გადაიხადეს, მაგალითად 2 ქცევა მიწისათვის ერთი მილიონი. 1921 წ. მაისში კი, ამ მიწის უწინდელმა პატრონმა ხელახლა გაყიდა ეს მიწა 6 მილიონად და პირველ მყიდველს შეაძლია უკანვე, დეკემბერში აღებული ერთი მილიონი. პირველმა მყიდველმა ეს თანხა არ დაიბრუნა და არც ახალი მყიდველები შეუშვა ადგილში. გამყიდველი მიწის გარდაიცვალა. საქვე განსაზღვრებულ იქნა მაზრის რეგკომის საადგილ მაჟულო განყოფილებასთან არსებული განსაკუთრებული კომისიაში. კომისიამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა: 1. ვინაიდან მიწის გამყიდველი გარდაიცვალა უძეოთ, ამისათვის მთელი მისი ქონება შერიცხულ იქნეს სახელმწიფოდ. 2. ვინაიდან პირველ მყიდველებს მიწა უყიდნიათ უკანონოთ, და გაუღიათ მილიონი მანეთი, ამისათვის აღნიშნული ადგილის მფლობელობაში მიეცეს მათ უპირატესობა, რისთვის ადგილი ჩაბარდეს მათ მიწის რეფორმის გატარებამდე. და თუ შემდეგში, დაწესებულ ნორმაზე მეტი მიწა აღმოაჩნდება, ჩამოერთვათ მათ საერთო წესით.

გთხოვთ განგვიმარტოთ რამდენად კანონიერი და სწორი დადგენილება: შეიძლება თუ არა ამ მიწის სახელმწიფოდ გამოცხადება, უკანონოდ არის ნაყიდი მართლა თუ არა? არის დოკუმენტი იმის დასადასტურებლად, რომ 1920 წ. პირველ მყიდველს ნორმაზე მეტი მიწა არ ჰქონია, რომ გამყიდველებსა ჰყავთ მემკვიდრე, რომ პირველ მყიდველთ (ორი ოჯახი) აქვთ საღაო ორი დღე-ღობის გარდა, მხოლოდ 7 დღე-ღობის მიწა და მიწის რეფორმა ჯერ არ გატარებულა მაზრის სახლგარეშე.

მ ა ს უ ზ ი .

ამ კითხვაში ყურადღება მასაქცევია რამდენიმე საკითხი: პირველი: რამდენად კანონიერი იყო 1920 წ. დეკემბერში მომხდარი აქტი, მიწის გაყიდვა. მეორე: რამდენად კანონიერი, 1921 წ.

მაისში მომხდარი აქტი, იმავე მიწის ხელახლა გაყიდვა.

მესამე: რამდენად კანონიერია განსაკუთრებული კომისიის პირველი დადგენილება და მეორე: რამდენად კანონიერი მეორე გადაწყვეტილება. გავცემთ პასუხს ცალკე:

შეკითხვიდან სჩანს, რომ 1920 წ. დეკემბერში გამყიდველმა აიღო ერთი მილიონი ორ დღე-ღობში. შემდგომ, კანონიერი ფორმის დაცვით, შინაურული ნასყიდობის წერილი. მაშინ ერობა მოქმედობდა და ამასთან მიწის ნორმა შორაპნის მაზრაში გადაწყვეტილი იყო საერთო მაშტაბით. (7 დესეტინა). მყიდველს ნორმაზე ნაკლები მიწა ჰქონია, გამყიდველს ჰქონდა უფლება გაეყიდა თვისი მიწა, რადგან ერობას ამის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონია. მაშასადამე ამ მხრივ საღაო და დამაბრკოლებელი მიზეზი არ არსებობს. პირველი მყიდველი შეუდგა ნაყიდი მიწის დამუშავებას და იგი 6 თვის განმავლობაში მის მფლობელობაში იყო. ამ მხრივ ყოველგვარი უპირატესობა პირველი მყიდველის მხარეზეა. უკანონო მოქმედება, დანაშაულის ხასიათისა, იწყება მხოლოდ 1921 წ. მაისიდან. მიწის გამყიდველს შეაძლია გადატრიალების შემდეგ (როცა მიწის დეკრეტი № 17 უკვე გამოცხადებული იყო) 6 მილიონი. მიწის ყიდვა გაყიდვა კი დეკრეტი № 17 ძალით აკრძალულია, მაშასადამე თავიდანვე, მეორედ მომხდარი გაყიდვა უკანონოა და მისი ჩაქვეითებას უნდა მივყავართ კანონის დარღვევისათვის. მეორედ მყიდველთ არა აქვთ არავითარი უფლება ერთხელ, 1920 წ. გაყიდულ მიწაზე. და თუ ისინი მოისურვებენ მაინც, ამ მიწების შენარჩუნებას და პირველ მყიდველს არ შეუშვებენ, მათი მოქმედება ძალიან იქნება და ამ მხრივაც პასუხის მგებელი არიან კანონის წინაშე. დეკრეტი № 17, უთუოდ აუქმებს მეორედ მყიდველების პრეტენზიებს. ამის მიუხედავად მიწის გამყიდველმა აიღო 6 მილიონი მაისში და უბრუნებს პირველ მყიდველს 1920 წ. დეკემბერში გადახდილ ერთ მილიონს. გარდა იმისა, რომ გამყიდველს არ ჰქონდა კანონით უფლება გაეყიდა მაისში მიწა საერთოდ, ამასთან არ ჰქონდა უფლება მეორედ გაეყიდა ერთხელ გაყიდული, მაგრამ თუკი იგი პირველ მყიდველს პირობას დაურღვევდა და დააბრუნებდა ერთ მილიონს, სამართლიანობა მოითხოვდა დაებრუნებია კურსის მიხედვით. მან ერთი მილიონი ასარგებლა 6 თვის განმავლობაში, პირველ მყიდველს კი, თუმცა ფლობდა ორ ქცევა მიწას, არავითარი სარგებლობა მასგან არ უნახავს ზამთრის თვეების გამო. პირ იქით გაზაფხულზე, ხაჯრსაც გასწევდა დამუშავებაში.

ამ ორ შემთხვევაში, პირველი მყიდველის უფლებები ორ დღე-ღობ მიწაზე უღაო და სრულიად კანონიერი, მაშასადამე მიწა უნდა დაუბრუნდეს მათ და მეორე გამყიდველებმა კი უკან მიიღოს თავისი ფული, მემკვიდრეებიდან, ან იმ პირისგან ვინც 6 მილიონით ისარგებლა.

ამას უნდა დაუმატოთ, საკითხის უფრო ნათლად გასარკვევად, რომ დეკრეტი № 17 მუხლი 1-ლი (ა. წ. 6 აპრილი) კატეგორიულად კრძალავს მიწის ყიდვას გაყიდვას, მისი ბაჟით, ან რაიმე სხვა საშუალებით ვისმეზე გადაცემას. ამასვე ადასტურებს და განმარტავს „მიწის ჩამორთმევა-დანაწილების შესახებ წესები“ ის (ა. წ. 23 აპრილს დამტკიცებული) მუხლი პირველი, რომელიც იმეორებს დეკრეტი № 17 პირველი მუხლის შინაარსს. ორივე ზევით დასახელებულს (დეკრეტი № 17 და „წესები“) ძალა აქვთ, მხოლოდ იმ დღიდან, როცა იგი გამოქვეყნდა, ე. ი. 6 და 26 აპრილიდან და არამც და არამც არ შეიძლება ამ დეკრეტებით გადაჭრა იმ საკითხების, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1921 წ. 25 თებერვლამდე.

ახლა განვიხილოთ განსაკუთრებული კომისიის დადგენილება: კომისიამ დაადგინა, მთელი ქონება აწ უკვე გარდაცვალებული მეზტრონისა მიწის გამყიდველისა, ვინაიდან იგი უძეოდ მომკვდარა, ჩარცხულ იქნეს სახელმწიფო საკუთრებად. საქართველო არის მშრომელი ხალხის სახელმწიფო. მთელი მიწა კი გამოცხადებულია დეკრეტი № 17 მუხ. 1-ში, მთელი მშრომელი ხალხის საკუთრებათ. მაშასადამე ყველა მიწა უკვე ეკუთვნის მშრომელს. თუ კომისიას სურდა, მიწა ჩამოერთვა ერთის სიკვდილის შემდეგ მისი ახლობელი ნათესავებისათვის, იგი უნდა გადარიცხულიყო სახელმწიფო ფონდში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ჩამოსართმევი მიწა იყო თავისუფალი. (მაგ. არ იყო უწინ, 6 აპრილამდე გაყიდული, გადაცემული და სხ.) მიწზე (საკუთრება, ცხადია, არ არსებობს გარეშე ერთი დიდი მესაკუთრისა და ეს დიდი მესაკუთრე ყველა მიწის, არის სახელმწიფო, მშრომელი ხალხი.) მაშასადამე აქ ღაპარაკი შეიძლება მხოლოდ სარგებლობასა და მფლობელობაზე. როცა ნოკვდა მიწის გამყიდველი (უშვილოდ) ვის უნდა მისცემოდა უფლება ამ მიწით სარგებლობისა? უპირატესობას ანიჭებს კანონი ახლობელ ნათესავებს იმ პირისას, ვისაც მიწა ჩამოერთვა. ამ შემთხვევაში ვინ იყო ახლობელი პირი? ძმა და და, აგრეთვე ძმის და დისწულები გადაცვალებულისა. მაშასადამე გადარიცხული მიწით სარგებლობის უპირატესობა ჰქონდათ მათ და „წესების“ მუხ. 46 ამ უპირატესობას აღნიშნავს. ამ საზღვრებში, კომისიის დადგენილებაში არა ნათლად აღნიშნული, იყო თუ არა ასეთი სურვილი განცხადებული და თუ იყო, მაშინ დადგენილება არაა მიზანშეწონილი. იგი უფრო იმიტომ არაა კანონიერი, რომ მიწა გაყიდული იყო 6 თვით ადრე და კომისიამ უმემკვიდრო მიწად აღიარა ის ადგილი, რომელიც 1920 წ. დეკემბერში, მაგალითად მილიონად იყიდა ორმა ოჯახმა. მაშასადამე კომისიის დადგენილების გამოტანის დროს სადაო მიწა თავისუფალი არ ყოფილა და გარდაცვალებულს ჩამოართვა მიწა, რომელიც მას არც ეკუთვნოდა 1920 წ.

დეკემბრიდან. ამიტომ განსაკუთრებული კომისიის დადგენილება მთელი ქონების სახელმწიფოდ რიცხვის შესახებ უნდა გააუქმოს მთლიანად. ხელისუფლების ორგანომ — ნაწილობრივ ე. ი. ორი დღიური მიწის შესახებ, რომელიც მისში უკვე არ ეკუთვნოდა გამყიდველს.

გადავიდეთ მეორე დადგენილებაზე: იგი აღნიშნავს, რომ ვინაიდან პირველმა მყიდველებმა მიწა უკანონოდ შეიძინეს, აღნიშნულ ადგილზე სარგებლობაში მათ მიეცეთ უპირატესობა და სხ. ჯერ ერთი: თუ კი უკანონოდ იყო ნაყიდი პირველების მიერ მათ კი არ უნდა მისცემოდათ სარგებლობის უპირატესობა, არამედ სხვა ვინმეს, თუნდაც მესამე პირს. უკანონობის ჩადენა, არავის არ აძლევს არავითარ უპირატესობას.

მაგრამ განვიხილოთ არსებითად: მართლა უკანონოდ იყო შეძენილი? ჩვენ ზევით ეს საკითხი განვიხილეთ და დავინახეთ რომ, პირველი: მიწის გამყიდველს ჰქონია უფლება იგი გაეყიდა, რადგან კანონით ნორმის გაყიდვა არ იყო აკრძალული ძველი მთავრობის კანონების მიერ, და ერობას არ განუცხადებია სურვილი შეეძინა ის ორი დღიური მიწა. მაშასადამე მეზატრონე თავისუფალი იყო არჩევანში და გაჰყიდა კიდევ. მყიდველს? ჰქონდა თუ არა მას უფლება? — ჰქონდა, რადგან მას სრული ნორმა არ ჰქონია. წინააღმდეგ შემთხვევაში მიწათმოქმედების სამინისტრო, მას ამ მიწას ისევ ჩამოართმევდა. ამ რიგად არავითარ უკანონო შეძენას ადგილი არ ჰქონია და განსაკუთრებული კომისიის დადგენილება არ არის აგებული სწორ საფუძველზე. მიწის მფლობელობის და სარგებლობის უფლება კანონით ეკუთვნის პირველ მყიდველს და არავის სხვას.

იხადება საკითხი, რა უნდა ქმნას მეორედ მყიდველებმა? მათ უნდა მიიღონ ზომები, დაიბრუნონ თავისი 6 მილიონი სახალხო სასამართლოს საშუალებით დამნაშავე პირისაგან.

განსაკუთრებული კომისიის დადგენილება კი, თუ უკმაყოფილოა რომელიმე მხარე, უნდა იქნეს განსაზღვრებული, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან არსებული განსაკუთრებული კომისიაში, იმ წესების თანახმად, რომელიც აღნიშნულია ა. წ. 31 აქტომბერს დამტკიცებულ ინსტრუქციაში.

კ ო ნ ე ჯ ა

მაზრის მცხოვრებთ თხოვნები, საჩივრები და სხ. შეაქვს რეგკომებში და სხვა ხელისუფლების ორგანოებში ქართულ ენაზე. მაგრამ ხშირად ხდება ისეთი რამ, რაც არ უნდა ხდებოდეს: ქართულად დაწერილ ქაღალდებს უკანვე გვიბრუნებენ. გთხოვთ განგვიმარტოთ: აქვთ თუ არა უფლება ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებს, ან თანამშრომელთ, არ მიიღონ ქართულად დაწერილი თხოვნა, საჩივარი და სხ.

პ ა ს უ ხ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახელმწიფო ენად აღიარებულია მხოლოდ ქართული ენა. ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის ყველა დაწესებულებაში საქმისწარმოება, მიწერმოწერა, ყოველგვარი ქაღალდების მიღება, (რესპუბლიკის საზღვრებში), უნდა ხდებოდეს უსათუოდ ქართულ ენაზე. გამონაკლს შეადგენს მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს დაწესებულებებთან მიმოწერა საქართველოში, და აგრეთვე თუ სხვის წითელ არმიასთან წერილობითი ურთიერთობა, რომლის დროსაც რუსულად უნდა იწერებოდეს გადაგზავნილი ან შეტანილი ქაღალდი, თვით საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, მხოლოდ სამხრეთ ოსეთთან, ბორჯალოსა და ახალქალაქთან, ვინაიდან იქ ხელისუფლების ორგანოთა და მცხოვრებთა შიშაღკვეთლობა შეგრეულია, მიმოწერა და სხ. სწარმოებს, როგორც გამონაკლისა რუსულ ენაზე. მაგრამ ამ შემთხვევებშიც არა აქვს არავის

ნება, ქართულ ენაზე დაწერილი ქაღალდი არ მიიღოს. პირიქით საქართველოს რესპუბლიკის თანამდებარის ცირკულიარულ დაწესებულებებში თანახმად შ. ს. ს. კომისარის მიერ „მოამბე“ № 13 გამოქვეყნებული ცირკულიარიდან სჩანს, რომ საპასუხისმგებლო ადგილებზე დანიშვნის დროს, აუცილებლად მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ქართული ენის ცოდნა. (მუხ 1) რაიონებში და თემებში კი უნდა დაინიშნოს აუცილებლად მცოდნე ქართული ენის და აგრეთვე მცხოვრებთა უმრავლესობის ენისა. (მუხ. 2.) მე-4 მუხლი ამბობს, რომ ამ დადგენილების დამრღვენი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნიო. და თუ მართლაც რომელიმე ხელისუფლების ორგანო, არ მიიღებს ქართულ ენაზე დაწერილს ქაღალდს, ეს იქნება დარღვევა მცხოვრებთა უფლებების და ინტერესის, ეს იქნება დარღვევა კანონის და ამიტომაც მისი ჩამდენი პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული.



შინაგან

გეოგრაფიული
ზოგადი

გე-XIX-ე №-ში მოთავსებულ მასალებისა:

- 1) დეკრეტი № 76 საქ. რევკომისა სახალხო მოსამართლეთა დროებითი საბჭოს დაარსების შესახებ.
- 2) „ № 77 საქ. რევკომისა ქალ. ბათუმში საზღვაო სკოლის დაარსების შესახებ. გვ. 1—2.
- 3) დადგენილება № 84 საქ. რევკომისა შეპყრობილ პირთა დასამწყვდევი ადგილებში მადუბას წესის შესახებ.
- 4) « № 15 საქ. რევკომისა სამატაროთა გულ-ტურულ-განმანათლებელი მუშაობის განხორციელების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
- 5) « № 86 საქ. რევკომისა სამატაროთა ანკერულ ეგვლა სამეურნეო დაწესებულებათა განმართელობის სახ. კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
- 6) « № 87 საქ. რევკომისა შრომის სამსახრო და სარაიონო განყოფილებათა დაარსების შესახებ.
- 7) « № 88 საქ. რევკომისა სტენოგრაფიის ადრინგის შესახებ.
- 8) « № 89 საქ. რევკომისა საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ.
- 9) ბრძანება № 87 საქ. რევკომისა სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის ხელქვეით ეგვლა სამეურნეო ორგანოების საქმეთა გამოსაძიებ-

დად და რევკომისა მოსახდენად საგანგებო კომისიის დაარსების შესახებ.

- 10) ინსტრუქცია შინ. საქმ. სახ. კომისარიატისა ეგვლა მარხის რევკომს. გვ. 4—14.
- 11) ცირკულიარი შინ. საქმ. სახ. კომისარიატისა ეგვლა მარხის და ქალაქის რევკომს.
- 12) » შინ. საქმ. სახ. კომისარიატისა ეგვლა მარხის და ქალაქის რევკომებს და სადმინისტრაციო დაწესებულებათ.
- 13) « შინ. საქმ. სახ. კომისარიატისა. გვ. 14—15.
- 14) რეზოლუციები სამსახრო და საქალაქო რევკომების საინსტრუქტორთა და საინფორმაციო ქვე-განყოფილებათა გამგებების ურდობისა. გვ. 15—16.
- 15) ცირკულიარი შრომის სახ. კომისარიატისა შრომის განყოფილებებს, ინსპექციებს და სამსახრო რევკომებს. გვ. 16—17.

არაოფიციალური განყოფილება.

- 16) სიტყვა აშხ. ლენინის სრულიად რუსეთის პოლიტიკურ განათლების დაწესებულებათა წარმომადგენლების მეორე ურდობ.ზე წარმოთქმული. გვ. 17—25.
- 17) აღმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილებაში. გვ. 25—27.
- 18) საქართველოს სახალხო ბანკის დაარსების გამო. გვ. 27—31.